# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 აპრილი 2003 №60 (1831) | ფასი 50 თეთრი


# შინაური უცხოელი

## საქართველოს ნაკრებს ივო შუშაკს აძლევენ







*საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად უცხოელი იქნება. ეროვნულ გუნდს რუსეთთან და ირლანდიასთან სათამაშოდ მოამზადებს ქართული ფეხბურთისა და აქაურობის კარგად მცოდნე – ამბობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ასეთი შინაური უცხოელის პოვნა იოლი საქმეა. იგი წელიწადზე მეტია, საქართველოში მუშაობს და ზურგს სანაკრებო გამოცდილებაც უმაგრებს: ივო შუშაკი, თბილისის „დინამოს" ხორვატი მწვრთნელი.*

*მერაბ ჟორდანია ბადრი პატარკაციშვილის თანხმობით შუშაკს ნაკრებს ამ უქმეებზე შესთავაზებს დადებითი პასუხის იმედით.*

## ივო შუშაკი:

### თუ ფედერაციის თხოვნას „დინამოს" პატრონი დათანხმდა, მზად ვარ, საქართველოს ნაკრები ჩავიბარო

# ჟორდანია უცხოელს ფიქრობდა და ქართველს ამბობდა

## ტრაპატონიზე დაბალი, ბოსკამპზე მაღალი: ფედერაცია მილიონამდე გამოდის



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამბობს, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი უეჭველად უცხოელი იქნება.*

*უცხოელი!*

*რამდენი ხანია გაჰყვირის ხალხი და მედია.*

*უცხოელი გვყოლია, მაგრამ ვერ გამოგვიყენებია. ამიტომ დღეს, როცა გვესმის, რომ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ეყოლება, გვიხარია, თუმც უკვე ძალიან გვინდა, ვიცოდეთ, როგორი უცხოელი გვეყოლება: ისეთი, როგორებსაც გავეჩვიეთ, თუ ცოტა სხვაგვარი, ისეთი, ვინც იქაურ ვითარებას მიეჩვია. თუ ისეთი, ჩვენს ნაკრებს რომ სულ სხვაგვარ თამაშს მიაჩვევს. გვერგება თუ არა ტოპ კლასის მწვრთნელი? თუ უბრალოდ კარგი მწვრთნელი?*

*ამიტომ ცხადია, რომ ბატონ მერაბთან საუბარი საინტერესოა*



გაფიკი კოშლაძის ფოტო

**— შეგიძლიათ კონკრეტულად გვიპასუხოთ, საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ქართველი იქნება თუ უცხოელი?**

— უცხოელი. მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ეროვნული გუნდი უცხოელ სპეციალისტს ჩაებარებინა, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მწვრთნელად დანიშვნისას ალექსანდრე ჩივაძის არ მჯეროდა.

**— თუ ყოველთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევა გსურდათ, ჩივაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, იქამდე ნაკრები ცნობილ დავით ყიფიანსა და რევაზ ძოძუაშვილს რატომღა ჩააბარეთ?**

— უცხოელი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებისთვის აუცილებელი იყო და არის, მაგრამ ადრე ვფიქრობდი, რომ ყიფიანის, ძოძუაშვილისა და ჩივაძის სახით ჩვენ გამოუყენებელი რესურსი გვქონდა და წარმატების მოლოდინში ვიყავით.

**— ადრე უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანად იქნებ ფინანსური საშუალება არ გქონდათ?**

— ადრეც ვამბობდი და გავიმეორებ, ფეხბურთის ფედერაციას ჰქონდა და აქვს საშუალება, რომ ნაკრების მწვრთნელად უცხოელი დანიშნოს. ფინანსურიდან დაწყებული, სხვა პირობებით დამთავრებული, ფედერაცია მზადაა უცხოელის მოსაწვევად.

**— როდის გამოაცხადებთ ახალი მწვრთნელის ვინაობას?**

— ორშაბათისთვის ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

**— ორშაბათამდე ორი დღეა. ესე იგი, თქვენთვის სასურველ კანდიდატთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს...**

— გადავწყვიტეთ, რომ ნაკრები ჯერჯერობით დროებით მწვრთნელს ჩავაბაროთ, რომელიც გუნდს 30 აპრილს რუსეთთან და 7 ივნისს ირლანდიასთან მატჩებისთვის მოამზადებს.

**— და შესაძლოა, ეს დროებითი მწვრთნელი ქართველი იყოს?**

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ისე კი, ალბათ დამეთანხმებით, სამ კვირაში რუსეთთან მატჩი გველის, მერე ირლანდიასთან და ასეთ ცაიტნოტში უმჯობესი იქნება, გუნდი ისეთ სპეციალისტს ჩავაბაროთ, ვინც ქართულ ფეხბურთს, ფეხბურთელებს, აქაურ ვითარებას იცნობს.

**— ძველ შეცდომას ხომ არ იმეორებთ? უმჯობესი არ არის, მწვრთნელს დრო მისცეთ, ნაკრები ახლა ჩააბაროთ და შედეგს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის დაელოდოთ.**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ არ გვაქვს დრო. რუსეთს 30 აპრილს ვმასპინძლობთ და მატჩამდე ორი კვირით ადრე ჩვენს ლეგიონერთა კლუბებს უკვე გამოძახების თაობაზე უნდა შევატყობინოთ. ერთი დღეც რომ დაგვიგვიანდეს, შესაძლოა, კლუბმა ნაკრებში ფეხბურთელი არ გამოუშვას. ამას წინათ ალექსანდრე ჩივაძე შემადგენლობის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად სამი ზედმეტი დღე გვთხოვა, მაგრამ ჩვენგან უარი მიიღო. ერთხელ ერთ-ერთი ფეხბურთელის დონეცკიდან გამოძახება ერთი დღით დაგვიგვიანდა და კლუბიდან ოფიციალური წერილი მივიღეთ, თქვენ დააგვიანეთ და ფეხბურთელს აღარ გამოვუშვებთო. მერე სხვა გზები გამოვნახეთ და ის ფეხბურთელი მაინც ჩამოვიყვანეთ. ანალოგიურ სიტუაციაში შესაძლოა სხვა უცხოურმა კლუბებმა კატეგორიული უარი შემოგვითვალონ. ამიტომაც 15 აპრილამდე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მწვრთნელს რომელი ლეგიონერების გამოძახება სურს, რათა ისინი დროულად მოვიწვიოთ.

**— მოკლედ, რუსეთთან და ირლანდიასთან მატჩებისთვის ეროვნულ გუნდს ერთი მწვრთნელი მოამზადებს. მერე კი მეორეს, უცხოელს დანიშნავთ?**

— დიახ.

**— გამორიცხავთ, რომ ამ უახლოეს ორ მატჩში წარმატებული შედეგისას დროებითი მწვრთნელი დარჩეს თავის პოსტზე?**

— ჯერ მწვრთნელი დავნიშნოთ.

**— რა ღირს კარგი უცხოელი მწვრთნელი?**

— ორი კატეგორიაა. არიან მწვრთნელები, რომელთა წლიური ანაზღაურება მილიონნახევრიდან ორ მილიონ დოლარამდეა.

**— რომელ კატეგორიას გულისხმობთ?**

— უმაღლესი, ტოპ კლასის მწვრთნელებს.

**— მაგალითად?**

— ტრაპატონის, ლიპის, ვან გაალს... 10-15 ასეთი დონის მწვრთნელია და ისინი ფინანსურადაც რომ დავაკმაყოფილოთ, ჩვენთან მუშაობას მაინც არ იკადრებენ.

**— მეორე კატეგორია რომელია?**

— საშუალო. ისეთი მწვრთნელები, რომლებიც ევროპაში პოპულარულები არიან. უმაღლესი სამწვრთნელო განათლება და სახელი აქვთ, ჩვენში კი უმაღლეს დონედ ითვლებიან.

**— მაგალითად?**

— ამ შემთხვევაში გვარებს ვერ დავასახელებ.

**— რატომ?**

— ახლა რომ თუნდაც ერთი გვარი ვთქვა, ატყდება ერთი ამბავი, მას ნიშნავენ მწვრთნელადო.

**— ასეთი დონის მწვრთნელების ანაზღაურება საშუალოდ რამდენია?**

— ნახევარი მილიონიდან მილიონ დოლარამდე.

**— თუმცა გვარებს არ ასახელებთ, ჩავთვალოთ, რომ ნაკრების მომავალი თავკაცი სწორედ ამ კატეგორიიდან იქნება?**

— ამისათვის ჩვენ მზად ვართ. რა თქმა უნდა, ამხელა ფული ფედერაციას სადღეისოდ არა აქვს, თუმც თანხის მოძიების ორი რეალური გზა გვაქვს. პირველი: გერმანული სატელევიზიო კომპანია „ინფრონტ სპორტისგან" კრედიტის აღება შეგვიძლია. სწორედ ამ კომპანიასთან აქვს ფედერაციას ნაკრების მატჩების ტელეჩვენების უფლებაზე კონტრაქტი 2008 წლამდე გაფორმებული და შეგვიძლია, მწვრთნელის გასასტუმრებელი თანხა გერმანელებს წინასწარ გამოვართვათ. და მეორე გზა: უეფა, რომელიც ეროვნულ ფედერაციებს სერიოზული პროექტების დასაფინანსებლად ყოველთვის ეხმარება. შესაძლოა, უეფას ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის კრედიტი ვთხოვოთ.

„ინფრონტ სპორტისა" და უეფას წარმომადგენლებთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე მქონდა, ფინანსურ მხარდაჭერას ორივე გვპირდება და ახლა ამათგან საუკეთესო ვარიანტს ავარჩევთ.

**— გამორიცხულია, ნაკრები რუს მწვრთნელს ჩააბაროთ?**

— დიახ, გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ რუსული სამწვრთნელო სკოლა ქართულზე გაცილებით მაღალ დონეზეა, მაინც ვფიქრობ, რუსი მწვრთნელების დონე საქართველოს ნაკრების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელი ოთხი წლის წინ აქ მომუშავე ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპზე სახელოვანი იქნება?**

— შეიძლია. ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებისთვის ბოსკამპზე მაღალი დონის სპეციალისტს შეარჩევს. თუმც ბოსკამპი სწორედაც რომ ზემოთ ნახსენებ საშუალო დონის მწვრთნელთა შორის მეგულება.

**— ერთ მაგალითს გეტყვით: ტუნისის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის მწვრთნელი როჟე ლემერი 21 ათას ხუთასს დოლარიან ანაზღაურებაზე დაითანხმა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეუძლია დაახლოებით ამდენივეს გადახდა?**

— დიახ, შეგვიძლია.

**კობა ინასარიძე**

# გაჯიევმა ცხადაძე სიაშიც გაიფორმა

35 **წლის** ქართველი ფეხბურთელი კახა ცხადაძე მახაჩყალის „ანჟიმ" ოფიციალურად დაამტკიცა საჩემპიონატო განაცხადში. გუშინ დალესტნელებმა რუსეთის საფეხბურთო კავშირს 22-კაციანი სია აახლეს. გაჯი გაჯიევის გუნდში ორი ქართველი — კახა მეავანაძე და კახა ცხადაძე ითამაშებენ. ჩვენებურებთან ერთად გაავორებს ბურთს საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძეც.

შეგახსენებთ, რომ თითქის ფეხბურთიდან წასულმა ცხადაძემ ამ ზამთარს მოულოდნელად „ანჟისგან" მიიღო მიწვევა. გაჯი გაჯიევი ვეტერან ქართველ მცველს პირობებზეც მოელაპარაკა და ორიოდ კვირის წინ რუსეთის თასზეც ათამაშა. პირველ დივიზიონში დაქვეითებული მახაჩყალელები პრემიერლიგაში აღზევების გარდა ქვეყნის თასზე წარმატებულ თამაშზეც არ ამბობენ უარს და აკი ნახევარფინალში გააღწიეს. ცხადაძის დებიუტიც მეოთხედფინალში, „კრილია სოვეტოვთან" (1:1) მატჩში შედგა, რომელიც დაღესტნელებმა პენალტების სერიით მოიგეს.

ბოლოს რუსულ პირველ დივიზიონში მობურთალ სხვა ქართველებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ჩიტის „ლოკომოტივში" მოთამაშე პაატა ჯინჭარაძეს ამ სეზონში ზურაბ არჩვაძე დაუმშვენებს მხარს. საქართველოს მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ „ბათუმიდან" აბარგებულმა არჩვაძემ უკვე ყველანაირი ფორმალური მხარე მოაგვარა და „ლოკომოტივთან" კონტრაქტიც გააფორმა. დანარჩენები კი ადგილზე არიან — თენგიზ სიჭინავა კვლავაც სმოლენსკის „კრისტალისთვის" გაირჯება, ზვიად ჯელაძე და თემურ გდელია კი კალინინგრადის „ბალტიკისთვის" ეცდებიან გოლების გატანას.

**კახა შალამბერიძე**




გაფიკი კოშლაძის ფოტო

კახა ცხადაძე

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი XXXXI ტური**

რედინგი 1:2 ბრაიტონი

**მეორე დივიზიონი XXXXI ტური**

ნორთჰემპტონი 0:2 უიგანი

### ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი XXVI ტური**

ვენლო 0:1 ვეენდამი

დორდრეხტი 0:1 ვოლენდამი

ეინდჰოვენი 2:1 ემენი

სიტარდი 4:0 ჰელმონდი

ტელსტარი 1:2 ჰერაკლესი

დენ ჰააგი 3:2 კამბური

დენ ბოსხი 5:1 იგლსი

მაასტრიხტი 0:1 ოსი

### იტალია

**სერია B. XXIX ტური**

პალერმო 2:2 ბარი

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XXVII ტური**

მაინცი 2:0 ბურგჰაუზენი

ბრაუნშვაიგი 0:1 დუისბურგი

ვალდჰოფი 1:2 კიოლნი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXV ტური**

ბაბელსბერგი 1:1 ლევერკუზენი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა XXVIII ტური**

პფულენდორფი 2:1 დარმშტადი

ოფენბახი 1:0 ჰოფენჰაიმი

ერფურტი 2:0 ელვერსბერგი

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი XXXII ტური**

ტულუზი 2:1 ლავალი

მეცი 4:0 ნანსი

ლე მანი 2:0 კაენი



გიო ახვლედიანის

## სვეტი

# ახალი იმედი

მთელს ამ უსიამოვნო საფეხბურთო კვირაში, რომელშიაც საქართველოს ორმა ნაკრებმა ოთხ თამაშში ორი გოლი გაიტანა და ორი ქულა მოინადირა, სასიამოვნოდ და საიმედოდ დარჩა ერთი რამ — მოსკოვის „ლოკომოტივში" გადაბარგებული მალხაზ ასათიანის გამოჩენა ეროვნული სტადიონის ოქრობოქრო მინდორზე.

მალხაზ ასათიანს ლამის ორი წელიწადია ნორმალურად არ უვარჯიშია, როგორც ფეხბურთში იტყვიან ხოლმე, „სბორი არ გაუვლია". ჩვენი ქვეყნის მწვრთნელებს მისთვის ნაკლებად გამოუცხადებიათ ნდობა, კონფლიქტიც მოსვლია ქუთაისელთა თავკაც შტელინთან, ხოლო მისი „ტორპედოდან" მოსკოვს გაყიდვა ნამდვილი კინოისტორიაა.

სრულიად ახალგაზრდა ქუთაისელი ფეხბურთელისთვის, რომელსაც დიდ ფეხბურთთან შეხება არ ჰქონია, ეს გვარიანი თავგადასავალია და „ლოკომოტივის" ძირითადშიც ასათიანს ჯერ არ მოუპოვებია ადგილი, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა, მალხაზ ასათიანი ვარსკვლავობის შორიახლოს მოტრიალე ბიჭია, თავისი ნიჭით და ნამდვილი საფეხბურთო აზროვნებით. ასათიანს იმდენი რამ აქვს თავისი, ისეთი ნიჭიერია და ისე ღრმად ესმის ფეხბურთი, რომ მისგან რაღაც დიდი და საუცხოო უნდა გამოვიდეს. ეს ჟურნალისტური გაბერვა და ვარსკვლავის კეთება არ არის, ამას ბრმა გულშემატკივარიც შეამჩნევდა და იგივე თქვეს კერძო საუბრებში ჩვენთან ჩამოსული გუნდების თავკაცებმა, გივენსმა და შალანდემ.

ასათიანი აგებულებითაც თანამედროვე ფეხბურთელია. რა არის, რომ ჯანი აკლია, ოთხმოცდაათი წუთის თავდაუზოგავად თამაში არ ძალუძს და როცა იღლება, სიზუსტეს თითქმის სულ კარგავს. ამგვარ ნაკლს დღეს სულ იოლად ასწორებენ პროფესიულ გუნდებში, თუ, რა თქმა უნდა, შენც გწყურია, რომ დიდი ფეხბურთელი გახდე.

ჩემის მოკლე ჭკუით, შეიძლებოდა, რომ ოთხშაბათის მატჩში შვეიცარიის წინააღმდეგ, ეროვნულ ნაკრებში ასათიანიც გამოჩენილიყო. იმავე დღეს, ჩვიდმეტი წლის უეინ რუნიმ ინგლისის ნაკრებში ითამაშა და ხალხი აალაპარაკა. ახლა, როცა ნაკრებს გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული და თემურ ქეცბაია გამოეთხოვენ, მათ ადგილს ალბათ სულ ახალგაზრდები დაიჭერენ და იმათ შორის კი უნდა იყოს მალხაზ ასათიანი, რომელიც შესაბამისი მზადყოფნით, თამამად უნდა შევიყვანოთ საერთაშორისო ფეხბურთში. ასათიანი ისეთი მოთამაშე ჩანს, რომელსაც, ცხადია, სჭირდება ათას მნიშვნელოვან რამეზე მუშაობა, მაგრამ იმხელა სათამაშო ნიჭიერება მოსდგამს, რომ მის გარშემო ერთორ სეზონში მთელი გუნდის შექმნა შეიძლება. თუ, რა თქმა უნდა, მან უმატა და ამ დიდ ნიჭს ფეხბურთის ნამდვილი გაკვეთილებიც დაახმარა.

ნეტა მართლა ყველაფერი ისე გამოვიდეს, როგორც ჩვენ ვოცნებობთ. მაშინ ძალიან დიდი ფეხბურთელი გვეყოლება.



# გჯერათ?

## ფედერაცია, რომელსაც არა აქვს სტრატეგია, ის გუნდია, რომელსაც არა აქვს ტაქტიკა

**გჯერათ,** რომ საქართველოს ნაკრები რუსეთს ორივე თამაშს მოუგებს, ასეთივე ბედს სწევს ალბანეთს და დუბლინის „ლენსდაუნ როუდზეც" გაიხარებს? არც მე.

მაგრამ არსებობს ხალხი, ვისაც „სჯერა" და, სამწუხაროდ, სწორედ ამ ხალხის ხელშია ეროვნული გუნდი და მთლიანად ქართული ფეხბურთი.

სწორედ ამ ხალხმა უნდა დანიშნოს ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელი.

ეს ხალხი უნდა დაფაცურდეს და უმოკლეს ვადაში მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომლის დარი აქამდე არ მიუღია, თუმცა მაშინ ასეთ ცაიტნოტში სულაც არ იყო.

გჯერათ? არც მე.

მაქსიმუმ ათ დღეში საქართველოს ეროვნულ გუნდს უნდა ჰყავდეს უცხოელი მწვრთნელი, რომელსაც ეტყვიან: ასეთ სავალალო დღეში ვართ, ბატონო და, აბა, თქვენ იცით. ამ შესარჩევ ეტაპზე თქვენი შედეგი არ გვაინტერესებს. მოკლედ, წინ ამ შესარჩევის 5 მატჩია და მთელი წელიწადნახევარი მომავალ შესარჩევამდე. შეხედეთ, დააკვირდით, გაიცანით და შექმენით ახალი გუნდი, რომელსაც ყველაფერთან ერთად, თაობათა ცვლის მტკივნეული ხანა უდგას. აგერ, კონტრაქტი 2005 წლის ბოლომდე და თუ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანთ, დანარჩენი მერე ვნახოთ. ჰო, ერთიცაა — ევროპის ჩემპიონატი განზე კი დაგვრჩა, მაგრამ რუსეთთან ორ მატჩში მიღწეულ შედეგს ჩვენი ქვეყნისთვის მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ეგებ...

გჯერათ? კი, ბატონო, მეც მაგრად მეეჭვება. თუმცა რა არ ხდება — ზოგი სოციალისტურ ალმებს კოცნიდა, ახლა კი ხატებზე გადავიდა, თანაც „ჩესტის" მიცემით დაღლილი ხელით პირჯვრის წერაც ისწავლა, მაგრამ ამას ათწლეულები დასჭირდა და არა ათი დღე.

...მერე ჩამოვა ეს ახალი ევროპელი მწვრთნელი და საქმეს მიხედავს. არც იქეიფებს და არც სატრანსფერო მაქინაციებში გაეხვევა. შედეგად, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანს, ნამდვილ ფეხბურთს მაინც ათამაშებს საქართველოს ნაკრებს.

აი, ამის კი მჯერა.

მაგრამ არ მჯერა, რომ ამ უცხოელს ჩამოიყვანენ. იმიტომ, რომ იმათ, ვინც ეგ უცხოელი უნდა ჩამოიყვანონ, ირლანდიის ნაკრების თამაშიც (ჩათვალეთ — ლოლბი-სისტემით კინოთეატრში ნანახი ფილმი) ფეხბურთი ჰგონიათ და ჩვენი ნაკრებისაც (ჩათვალეთ — „პირველ სტერეოზე" ნანახი იგივე ფილმი, ოღონდ „ბალზამირება 35 ლარად" გამუდმებული აკომპანემენტით); თუნდაც იმიტომ, რომ მთელს ფედერაციაში არავინ გამოდგა ისეთი, ვინც უეფას სთხოვდა, ჩვენი და რუსეთის „ტკბილი" ურთიერთობის გამო ეგებ ორივე მატჩი ერთი, მასპინძლების ჰიმნით დავიწყოთო (არის ასეთი პრაქტიკა. მაგალითად, ირლანდიის და ჩრდილოეთ ირლანდიის თამაშებისას) და ამით ტრიბუნებზე ისედაც უკიდურესად დაძაბულ ვითარებას საგრძნობლად შეარბილებდა (ამასაც დიდი მატერიალური დანახარჯი სჭირდება?);

**დაბოლოს იმიტომ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დღემდე არ აქვს ქართული ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ჩვენნაირი გაჭირვებული, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთში სახელდაგდებული ქვეყნების გამოცდილებაზე იქნებოდა დაფუძნებული.**

ბანალურია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მინდა ძალიან, ძალიან ვცდებოდე და ათ დღეში...

**გიგა ძოგახიძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# არა, ტო!



„კაკ-კუკ"! ასე დააკაკუნეს ხუთშაბათს, დილის 6 საათსა და 11 წუთზე „სარბიელის" კოსმოპოლიტური ბიუროს კარზე. ჩვენ, რასაკვირველია, ყველანი სამსახურში ვიყავით და ყველამ ერთად გავაღეთ ზემოხსენებული კარი. გავაღეთ და... ის დავინახეთ. იდგა საქმიანი, ჩაფიქრებული, მობილიზებული, როგორც №1423-ე დივიზია, მარჯვენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებს შორის „ვაისროი" ეჭირა და ეტყობოდა, რომ უნდოდა! დიახ, მას უნდოდა ერს ხსნად მოვლენოდა და თავის მისიას საქართველოს ეროვნული ნაკრების (მომავალში შემოკლებით სენ-ი) მწვრთნელის ვაკანტური ადგილის დაკავებაში ხედავდა.

— მობრძანდით, ბატონო ენგელბერტ, — ვუთხარით ყველამ ერთად და კედელს ავეკარით, გზა დავუთმეთ. ის შემოვიდა.

ამ ამბისთვის წერტილის დასმა, პრინციპში, ყველაზე უპრიანი აქ იქნებოდა, მაგრამ წერტილი როგორ იწერება, აღარ გვახსოვს და ამიტომ განვაგრძობთ. ის, ვინც ჩვენს ოთახში შემობრძანდა, არც მეტი, არც ნაკლები, ფ.კ. „მაგრების" მწვრთნელი და ქართული ფეხბურთის ამაგდარი ენგელბერტ პონტელავა გახლდათ. რასაკვირველია, სპორტულებში.

— ტრენერი იმენა მე უნდა გავხდე, — ბრძანა მან.

— პაჟალუსტა — ერთხმად მივუგეთ და კედელს მოვცილდით.

— უცხოელის დედაც... — თქვა მან — უცხოელმა რა იცის, ტო?!

და აი, აქ, ჩვენი ბიუროს ახალგაზრდა თანამშრომელმა იმედო ცახცახაშვილმა ასაკისთვის დამახასიათებელი ღელვით ასე წარმოსთქვა:

— ვან გაალმა იც...

ბახ! გაისმა მაკაროვის სისტემის გასროლის ხმა (საქმე ძიებაშია, ოღონდ ძიების ინტერესებიდან გამომდინარე რა ხდება არ გეტყვით) — ეს ბატონმა ენგომ მიაქუხა ჭერს.

— ვან გაალის დედაც...

— მამაც — დავუდასტურეთ ჩვენ.

— ვან გაალმა იცის, ტო, ჩვენი ამბავი? აი, ვან გაალთან ვინმემ ვარჯიშზე რომ დააგვიანოს. რას იზამს?

— დაუქვითავს — ჩაილუღლუღა თანამშრომელმა ცახცახაშვილმა.

— რას, ტო?

ცახცახაშვილმა მხრები აიჩეჩა და ეგრევე დარჩა აჩეჩილი მხრებით.

— დაუქვითავს და გვერდზე გაიყვანენ, გაიგე?!

— მაშ?

— აი, იმენა რო ვან გაალი ვერაფერს გააკეთებს. ვდრუგ და მაგის ადგილი ვინმეს მოუნდეს, ბიჭებს უთხრას ან რამე და თამაში ჩაუშვან, რას იზამს?

— ნავა.

ჰოდა, თუ ნასასვლელია, ახლავე წავიდეს, ტო, რას ირთულებს ცხოვრებას... დაიწყებს, მერე ზბორი მინდა და მაყუთს გამოდით. მერე, იმ ზბორის მაყუთს, დაპუსნიმ, სპონსორს შეაწერე, მოტეხავს თუ რა? მერე ბიჭებს დაუწყებს კრაიდან კრაიზე ბურთი ერთი პასით გადაიტანეთ და წინ დაგაზეთ. ოე! ეგრე სად არი? საქართველოა თუ „კუუსუსი"? ჩვენმა ბიჭებმა იმენა თუ არ იმატავეს ვდოლ ი პაპერიოკ, ისე არაფერი გამოვა, გაიგე? შენ უყურებ ტაბლოს, გაიგე, მე კიდევ ფეხებს. იმენა პადსებია, იმენა მეჟდუნოგი და რამე. იმენა უნდა შეასრულო გაიგე? იტოგში, რა, ამას ბაზარი აღარ უნდა, ჩემზე დაწერეთ რო ზბორნი უნდა-თქო და მოყომარდა ეგ საქმე.

შემდეგ დუმილი ჩამოვარდა. მის ასაღებად დავიხარეთ, დიდხანს ვეწვალეთ და თავი რომ ავწიეთ დავინახეთ, ბატონი ენგო კედელთან დანასობიას თამაშობდა, ცდილობდა ცივი იარაღი ალექს ფერგიუსონის პლაკატისთვის დაემიზნებინა. ჩვენ დავსხედით და გერმანიის, ინგლისის და იტალიის ჩემპიონატების მიმოხილვის წერას შევუდექით — აშკარად ასე სჯობდა.

**ძირს პაპუნა ძედია**

### ქატო იქა, ფქვილი აქა,
### ენგო იქა, ლივი აქა
### ალხო, მალხო და ასე შემდეგ



მორიგი სანაკრებო ფიასკოს შემდეგ არა გვგონია, მეთოთხმეტე ჩემპიონატის მეორე ეტაპის მესამე ტურის თამაშებს მაყურებელი მიაწყდეს, მაგრამ ერთგან სტადიონი, ალბათ, მაინც გაივსება. ორი კვირის წინ „ლოკომოტივის" დამჩოქებელი „სიონი" ხვალ ჩემპიონ „ტორპედოს" მასპინძლობს და „თემურ სტეფანიაც" საათნახევარში არაერთხელ შეტორტმანდება.

ბოლნისელთაგან ძლეული რკინიგზელები კი ნავთლუღში „ვიტ ჯორჯიას" სტუმრობენ. „შევარდენს" ჯერაც შერჩენილ დასავლეთ ტრიბუნაზეც არ იქნება ნამეტანი ხალვათობა. მართალია, ქომაგთა სიმრავლით ვერც ვეტერინარები დაიკვეხნიან და, მით უფრო, რკინიგზელებიც ვერ მოიწონებენ თავს, მაგრამ დედაქალაქური დერბია და ჩემპიონობისთვის თუ საპრიზოებისთვის მებრძოლი სტუმარ-მასპინძლის დუელი საინტერესო საცქერი უნდა იყოს.

შედარებით იოლი თამაში ელის პირველადგილოსან „დინამოს". დღევანდელი „კოლხეთი" რომ ადრინდელის აჩრდილია, თავად ფოთელები აღიარებენ. ივო შუშაკი კი აუცილებლად შეეცდება სათავეში განმტკიცებას და რადგან კონკურენტების ნაფორხილების შანსიცაა, მაშინ „დინამოს" გამარჯვება უნდა ვივარაუდოთ.

ცენტრალურ თამაშად კი „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" დაპირისპირება მივიჩნიოთ. დედაქალაქელებს ერთმანეთთან თავიანთი ანგარიშებიც აქვთ გასასწორებელი. ვეტერინარების და რკინიგზელების დამოკიდებულებას გულთბილს ვერავინ დაარქმევს, მათი შეხვედრებიც მუდამ დაძაბულია.

# ვიტ ჯორჯიას მცხეთური მოენატრა

## ფილიას წნევა და დინამო აწუხებს



რკინიგზელებმა და ვიტელებმა თამაშიც იციან და ჩხუბიც

[illegible] ფოტოები



### საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. 3 ტური

## I–VI ადგილები

ფოთი. ფაზისი. 6 აპრილი. 16 საათი

### კოლხეთი — დინამო

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: ბ. სიქინავა

დისკვალიფიცირებული: გოროზია (კოლხეთი)

თბილისი. შევარდენი. 6 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 6 აპრილი. 16 საათი

### სიონი — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი; დირექტორი: რ. შენგელია

დისკვალიფიცირებული: ა. ბურნაძე (სიონი)

## VII–XII ადგილები

რუსთავი. ფოლადი. 5 აპრილი. 16 საათი

### გორდა — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. სილაგავა (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

დისკვალიფიცირებულნი: კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (ორივე გორდა)

თბილისი. ისანი. 5 აპრილი. 16 საათი

### მერანი-ოლიმპი — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: რ. შოთაძე

ზურჯაანი. დავით ყიფიანი. 5 აპრილი. 16 საათი

### მილანი — მეტალურგი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ა. ნონიკაშვილი, კ. თბილელი; ა. შილაკაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 31 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 30 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:2 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 28 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 18 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 16 |

**VII–XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 16 |
| მერანი-ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 15 |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 15 |
| მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 10 |
| გორდა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 9 |
| მილანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 8 |

### ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

მძიმე გასახსენებელია, როდის მოუგო „ვიტ ჯორჯიამ" „ლოკომოტივს". ვიტელთათვის ასეთი სასიხარულო თარიღი 2000 წლის 14 ოქტომბერი იყო. მაშინ მცხეთაში მოთამაშე ვეტერინარებმა „არმაზზე" ერთი უპასუხო გოლით სძლიეს რკინიგზელებს. მას შემდეგ შვიდჯერ ეცადა „ვიტ ჯორჯია", საწადელი აესრულებინა, მაგრამ ოდენ ორჯერ გამორჩა უგოლო ფრეს.

დედაქალაქელების ყველაზე დრამატული შეხვედრა გასულ შემოდგომაზე, „შევარდენზე" შედგა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში შავი დღე აყარეს სტუმარს, თუმცა უამრავი საგოლე მომენტიდან ერთიღა გამოიყენეს და შესვენებაზეც ჩიჩბულ ხასიათზე წავიდნენ. მეორე ტაიმში კი ვიტელებს დაუდგათ სავიშვიშო დრო. ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი" გასახდელიდან სასიკეთოდ გარდაქმნილი დაბრუნდა და მეტოქეს სამი გოლიც გაუტანა.

იმავე შემოდგომით, უკვე საპასუხო თამაშში, პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ლუის ცაკარიასი და ჯანი კარნევალი. იტალიურად ნაწრთობმა „ვიტ ჯორჯიამ" თამაშით ისევ დაჯაბნა პერუელის „ლოკომოტივი", მაგრამ მაინც წააგო. სწორედ მაშინ ატყდა გუნდური ჩხუბი. თუმცა მსაჯ-დელეგატმა და მწვრთნელებმა დაძაბულობის განმუხტვა მოახერხეს.

სადღეისოდ ორივე გუნდი შეკრებაზეა. პრობლემებიც თითქმის არ აწუხებთ. „ვიტ ჯორჯიას" ტრავმირებული ცენტრალური მცველი ინწკირველი გამოჯანმრთელდა, მართალია, მუხლი ისევ აწუხებს ყიფიანს, მაგრამ სავარაუდოდ მაინც ძირითადში იქნება. „ლოკომოტივს" დაუბრუნდა კუნთდაჭიმული კაპიტანი ბალაშვილი, კოჭნაღრძობი სოხელია და ნაავადმყოფარი კაკაშვილი. ეროვნული და ახალგაზრდული გუნდებიდან დაბრუნებული ფეხბურთელებიც მწყობრში არიან.

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:* „ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვსურს. ვფიქრობ, ჩემი გუნდი ასპროცენტიან მზადყოფნაშია. ორკვირიანი შესვენებაც ნაყოფიერად გამოვიყენეთ და ჩვენი ამბიციები სწორედ ახლა უნდა დავიკმაყოფილოთ. მე ვაფასებ მეტოქის სიძლიერეს, მაგრამ დროა, „ვიტ ჯორჯიამ" ბოლო დროს დანერგილი უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიოს და „ლოკომოტივი" დაამარცხოს".

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:* „რადგანაც განვაცხადეთ, რომ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, მოსაგებად უნდა ვითამაშოთ. „ვიტ ჯორჯია" ძლიერი გუნდია და ხვალინდელ მატჩშიც შანსები თანაბარია. „შევარდენზე" ფინალის დარი თამაში იქნება, ის მოიგებს, ვინც უკეთ მოემზადა".



[illegible] ფოტო

სოსო ფილია

### კოლხეთი – დინამო

ბოლო დროს „კოლხეთს" „დინამოსთან" გამარჯვება დაუძვირდა, არადა, ფოთელებს ადრე არაერთხელ გაუწბილებიათ დედაქალაქელები. შუშაკს ტრავმირებული ლადო ბურდული გამოუჯანმრთელდა, რომელიც უკვე მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, ხორვატმა მწვრთნელმა ძირითადშიც დააყენოს. ახალგაზრდული და ეროვნული გუნდიდან მიკროტრავმებით დაბრუნდნენ კვირკველია, ახალაია და ბობოხიძე, თუმცა საგანგაშოც არაფერი სჭირთ.

მატებაა კოლხთა ბანაკშიც. ფილიას გონჩაროვი მოუმჯობინდა, თუმც კუნთდაჭიმული ქუტიძის თამაშია საეჭვო. მწყობრში ჩადგა ნაავადმყოფარი უკანახაზელი ნარსიაც, მაგრამ მწვრთნელის ყველაზე დიდი საწუხარი მაინც გოროზიას დისკვალიფიკაციაა.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:* „დასკვნითი ეტაპის ყველა მატჩი ფინალის დარია. ნებისმიერმა მეტოქემ შეიძლება დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ამის დასტურად წინა ტურის „ტორპედო" — „კოლხეთიც" გამოდგება, სადაც ქუთაისელებმა ქულები დაკარგეს. მართალია, „ფაზისზე" ფავორიტად „დინამო" მოიაზრება, მაგრამ წინ ურთულესი მატჩი გველის."

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:* „ივო შუშაკისთვის პირადი დუელი ჯერ არ მომიგია და შევეცდები, ეს ახლა მოვახერხო. მართალია, გუშინ ცოტა ჯანმრთელობამ დამალალატა, წნევამ მოულოდნელად შემაწუხა, მაგრამ სახვალიოდ მე და ჩემი შეგირდები მწყობრში ვიქნებით. ისე, „კოლხეთი" უარს ფრეზეც არ იტყოდა, თუმცა ვიმეორებ, „დინამოს" არაფერს დავუთმობთ."

**მამუკა ქვანტალიანი**

### სიონი – ტორპედო

ბოლო სამი წლის მანძილზე ერთადერთხელ, 2000 წლის 4 ნოემბერს შეძლო „სიონმა" ბოლნისში, ჩემპიონისთვის ქულა დაეცინცლა. მას შემდეგ „ტორპედო" პირველ ეტაპზე კინკილა გოლით ამარცხებდა მასპინძელს, ხოლო გაზაფხულზე უკვე სხვადასხვა ექვსეულში ბურთაობდნენ.

რიონისპირელები აღმოსავლეთისკენ დღეს დაიძვრებიან და დაშავებულ ნახევარმცველ რომან ახალკაცსაც ვერ იახლებენ. შტელინს სხვები ჯანზე ჰყავს, „დინამოსთან" გაძევებულმა გამეზარდაშვილმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა და ხვალ მასპინძელთა საჯარიმოშიც იტრიალებს.

პრობლემები უფრო მეტი აქვს თემურ მახარაძეს. გუშინწინდელ ვარჯიშზე გარემარბი დაუშვილი დაშავდა. დისკვალიფიცირებულია დაცვის ბურჯი სანდრო ბურნაძე. მართალია, ნაავადმყოფარი ისიანი და დათვაძეც მოფერიანდნენ, მაგრამ პრინციპულ თამაშში მათი დაყენება სარისკოცაა.

ბურნაძის არყოფნაში დაცვის ცენტრს, ალბათ, დავით ბაქრაძე ჩაიბარებს. დაუშვილის ნაცვლად სავარაუდოდ იოსებ დევიძე დადგება მარჯვენა ფლანგზე. სხვა ცვლილებები კი მოსალოდნელი არ არის.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:* „ბოლნისში თამაში ტრადიციულად ყველა სტუმარს უჭირს, ამიტომ, ვფიქრობ, გამონაკლისი არც სახვალიო მატჩი იქნება და დაძაბულობაც კულმინაციას მიაღწევს. „კოლხეთთან" დაკარგულმა ორმა ქულამ „ტორპედო" ვერ გატეხა. მერწმუნეთ, ჩვენ უფრო მობილიზებულნი და ყურადღებიანნი გავხდით. „სიონთან" თამაში ქუთაისელებისთვის საჩემპიონოც კია, გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ."

*თემურ მახარაძე, „სიონის" მწვრთნელი:* „ძლიერი მეტოქე გვესტუმრება. სამგზის ჩემპიონთან იოლი თამაში არ გველის. მხოლოდ ერთს გპირდებით, 90 წუთის მანძილზე „სიონი" ბრძოლას არ შეწყვეტს. შანსებს კი თანაბრად შევაფასებ."



[illegible] ფოტო

ალექსანდრ შტელინი

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 17 - იონანიძე | | ტორპედო |
| მელქაძე | | ვიტ ჯორჯია |
| 13 - დარასელია | | დინამო |
| 9 - კოშკაძე | | სიონი |
| უაჩბულიძე | | სიონი |

# ლანჩხუთის კადრი

## ფოთის კოლოებს ნაკრებში გამოქცეული

*კვირკველიას სახით ნაკრებს საიმედო ფეხბურთელი ეყოლება — თქვა ალექსანდრე ჩივაძემ შვეიცარიასთან ოთხშაბათის მატჩის შემდეგ — ჩივაძე გუნდიდან წავიდა და კვირკველია დაგვიტოვა.*

*დავით კვირკველია 23 წლისაა და თბილისის „დინამოში“ საამსეზონოდ გადავიდა ფოთის „კოლხეთიდან“. ახლა კი მორიგი წარმატებული ნაბიჯი გადადგა — ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა და დებიუტანტის კვალობაზეც ყოჩაღადაც გაისარჯა.*



დავით კვირკველია სანაკრებო დებიუტით თავს მოიწონებს

**— რა გითხრა ჩივაძემ შვეიცარიასთან მატჩის წინ, რა დავალება მოგცა, როგორ შეგამზადა სანაკრებო დებიუტისთვის?**

— თამაშის წინა დღეებში ჩივაძე ფსიქოლოგიურად მამზადებდა სანაკრებო დებიუტისთვის. მატჩამდე კი მითხრა, შეტევაში უფრო აქტიური იყავი, თუმც შენი ზონაც ყურადღებით გააკონტროლეო.

**— „დინამოში“ სისტემატურად ვერ ხვდები ძირითადში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნულ გუნდში მიგიწვიეს — შენთვის ეს ალბათ მოულოდნელი იყო.**

— საქმე ისაა, რომ „დინამოს“ ძირითადში ადგილი არავის აქვს დაჯავშნული, გუნდში დიდი კონკურენციაა — ახლა ლადო ბურდული გამოგვიჯანმრთელდა და კონკურენცია კიდევ უფრო გამწვავდება. ნაკრებში გამოძახება კი მართლაც ძალიან მოულოდნელი იყო მადლობელი ვარ, ამხელა პასუხისმგებლობა რომ დამეკისრა.

**— მატჩის დამთავრების შემდეგ ჩივაძემ რა გითხრათ ფეხბურთელებს?**

— პირადად მე დებიუტი მომილოცა, გუნდს კი ძალიან კარგ ხასიათზე მყოფი დაგვემშვიდობა და წარმატებები გვისურვა.

**— ფოთის „კოლხეთში“ ძირითადად დაცვაში გიწევდა თამაში, ახლა კი „დინამოში“ ხან მარცხენა ნახევარმცველი ხარ, ხან საყრდენი — რომელ პოზიციაზე გირჩევნია თამაში?**

— ბავშვობიდან მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობ და ყველას ეს პოზიცია მიჯობს.

**— „დინამოში“ შენს გადასვლაზე შარშანწინაც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა — რატომ?**

— მაშინ „კოლხეთში“ სამი თვის მისული ვიყავი — იქაურები ძალიან დიდი პატივისცემით მეპყრობოდნენ და უცბად ვერ წამოვიდოდი. ასე რომ, იმ დროს მე თვითონ ვთქვი უარი „დინამოში“ გადასვლაზე.

**— მაგრამ მერე ფოთის კოლოებს მაინც გამოექეცი. როგორ შეეგუე თბილისსა და „დინამოს“?**

— ფოთის კოლოებს მართლაც გამოვექეცი და აქაურობას მშვენივრად შევეგუე — „დინამოში“ კარგი ატმოსფეროა, ყველა პირობაა ფეხბურთი რომ ითამაშო. ისე, ფოთელი კი არა, ლანჩხუთელი ვარ — იქაური ბავშვთა ფეხბურთიდან მოვხვდი „ბაიერში“, მერე კი „კოლხეთში“.

**— შენს უშუალო კონკურენტად „დინამოში“ არჩილ სახვაძე ითვლება. სახვაძეს ფლანგური ჩაწოდებები კარგად ეხერხება, შენთვის კი ეს კომპონენტი ალბათ საუკეთესო მხარე არ უნდა იყოს...**

— ეს ივო შუშაკსაც არაერთხელ უთქვამს — სახვაძე შეტევაში უფრო ძლიერია, მე კი უფრო დაცვაში თამაშისას ვარ ძლიერი. ჩაწოდება მართლა თანდაყოლილი, ბოძებული უნდა გქონდეს. ისიცაა, რომ ჩვენებურ მინდვრებზე ძნელია ჩაწოდებების კარგად შესრულება — ერთადერთი კარგი მოედანი „ლოკომოტივისაა“. უხარისხო მინდვრებზე კი ბურთის მიღებისთვის ხანდახან 3-4 შეხებაა საჭირო.

**— ეროვნულ ნაკრებს ალბათ უცხოელ მწვრთნელს ჩააბარებენ. უცხოელი სპეციალისტი კი ფლანგელი მოთამაშისთვის აუცილებლად მოითხოვს კარგ ჩაწოდებებს..**

— ჩაწოდებებზე ვმუშაობ და ყველანაირად ვეცდები, დავხვეწო „პადაჩები“.

**დავით თავართქილაძე**

# შფროსი ავად გამხდარა

## სიონს ორშაბათს გაურჩევენ

**ფედერაციის** სატრანსფერო კომიტეტს გუშინ ფეხბურთელთა საჩივარი უნდა განეხილა. შეგახსენებთ, „სიონის“ ფეხბურთელებმა — კახა სიდამონიძემ, გია ჩხაიძემ და დავით გოდერძიშვილმა კლუბს უჩივლეს, ბოლნისელები ხელფასს არ გვიხდიან და მათთან კონტრაქტი გაგვიუქმეთო.

წესისამებრ, მომჩივან-მოპასუხეს გუშინ ფედერაციაში უხმეს, მაგრამ მასპინძელი გახდა შეუძლოდ და განხილვაც გადაიდო. სფფ-ში მისულ ფეხბურთელებს და „სიონის“ წარმომადგენლებს ბოლოში მოუხადეს, სატრანსფერო კომისიის თავმჯდომარე ევგენი მეტრეველი ავადაა და სხვა დროის დაგილაპარაკოთო.

ამ საქმეს ალბათ ორშაბათს გავარჩევთო, გვითხრა სატრანსფერო კომისიის წევრმა რევაზ შენგელიამ.

მეტრეველის ავადმყოფობით ყველაზე უფრო ფეხბურთელები დაზარალდნენ. სამეულს იმედი ჰქონდა, რომ ფედერაციაში მათი სარჩელი დაკმაყოფილდებოდა და ასეთ შემთხვევაში უკონტრაქტო ფეხბურთელებს უპრობლემოდ შეეძლებოდათ წნორის „მილანში“ თამაში, მაგრამ სიდამონიძის, გოდერძიშვილისა და ჩხაიძის ფეხბურთი მინიმუმ ერთი კვირით გადაიდო, რაღა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუკი სატრანსფერო კომისიამ ფეხბურთელების მხარე დაიჭირა. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ბოლნისელებსაც სერიოზული არგუმენტი აქვთ — ფეხბურთელებს კუთვნილი გავუსტუმრეთ და მეტის მიმცემი არ ვართ, რადგან არაერთხელ დასჯილან ხელფასის დაქვითვით და აქეთ მართებთ ჩვენიო...

**პაატა ძვანტალიანი**

**საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა მეორე წრე 19 ტური**

**მცხეთა 0:0 გურია**

**ლოკომოტივი 2 0:0 დინამო 2**

**ხობი 0:3 მერცხალი**

**ივერია 2:1 ქობულეთი**

**სამგურალი 4:0 ალაზანი**

**სამტრედია 1:5 ლაზიკა**

**ცხინვალი 0:2 სპარტაკი**

**ჭაბუკთა ნაკრები 1:1 თსუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 19 | 13 | 5 | 1 | 47:19 | 44 |
| მერცხალი | 19 | 12 | 4 | 3 | 33:13 | 40 |
| დინამო 2 | 19 | 10 | 4 | 5 | 27:16 | 34 |
| მცხეთა | 19 | 9 | 6 | 4 | 27:14 | 33 |
| სამგურალი | 19 | 8 | 6 | 5 | 23:16 | 30 |
| სპარტაკი | 19 | 8 | 4 | 7 | 25:18 | 28 |
| ლოკომოტივი 2 | 19 | 7 | 7 | 5 | 22:13 | 28 |
| ივერია | 19 | 8 | 3 | 8 | 26:27 | 27 |
| ქობულეთი | 19 | 8 | 2 | 9 | 13:19 | 26 |
| ცხინვალი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:19 | 26 |
| თსუ | 19 | 7 | 5 | 7 | 14:19 | 26 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 19 | 6 | 4 | 9 | 24:26 | 22 |
| გურია | 19 | 5 | 5 | 9 | 15:29 | 20 |
| ხობი | 19 | 3 | 4 | 12 | 10:29 | 13 |
| ალაზანი | 19 | 3 | 4 | 12 | 18:45 | 13 |
| სამტრედია | 19 | 3 | 2 | 14 | 14:38 | 11 |

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია “ სამძიმარს უცხადებს
კლუბის გენერალურ მდივანს, მალხაზ კაკაურიძეს
დედის
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი
ბოლნისის „სიონი“
სამძიმარს უცხადებს
მალხაზ კაკაურიძეს
დედის
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი
თბილისის „ლოკომოტივი“
თანაუგრძნობს
მალხაზ კაკაურიძეს
დედის
გარდაცვალების გამო

# დიდი ფეხბურთი ჯერ 7 წლისაა

## სნიკერსსა და ნაყინს მირჩევნია გოლი

**რა ხანია,** გვესმის, ეროვნული გუნდი იმიტომ თამაშობს ცუდად, კარგი ფეხბურთელები არ ჰყავსო. ეს მწვრთნელებისგან თავის მართლებაა, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. არადა, ირგვლივ რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელია. თუნდაც ბავშვთა ფეხბურთში. აგერ, საფეხბურთო კლუბ „ირაოზე“ (გენერალური დირექტორი ზაზა ვეფხვაძე, აღმასრულებელი დირექტორი პეტრე ცაავა) ნოდარ ახალკაცის სახელობის ტრადიციული ტურნირი ჩატარდა, 7 წლის ბავშვებმა ითამაშეს. უყურებ და გრძნობ, რომ თვალს თუ არ მოაცილებ, სწორად ავარჯიშებ და საერთოდ ნორმალურ პირობებს შეუქმნი, დიდობაში დიდ ფეხბურთსაც ითამაშებენ.



ჩემპიონი „ირაო“: დგანან — ზურაბ გაბათაშვილი (მწვრთნელი), ჯანო ხოშტარია, სანდრო კოტორეიშვილი, ლევან ანდღულაძე (მთავარი მწვრთნელი), სანდრო გურეშიძე, ილია კერძევაძე, თამაზ ოდიშელიძე (მწვრთნელი); სხედან: ნიკუშა დადიანი, ჯემო ყანჩაშვილი, დაჩი კეკელია, გიორგი პაპუნაშვილი

დღეს ეროვნულ ნაკრებში თაობა იცვლება, წლები გაივლის და დღევანდელი 7-წლისანების თაობის დროც მოვა და ჩვენ გვსურს, რომ ამ თაობას და საერთოდ ყველა თაობას გამორჩეული ფეხბურთელები მრავლად ჰყავდეს.

ნოდარ ახალკაცის ტურნირში 16-მა გუნდმა ითამაშა და მასპინძელმა „ირაომ“ გაიმარჯვა, ფინალში „მიმინოს“ 3:1 მოუგო. „ირაოს“ ამ სკოლის მთავარი მწვრთნელი ლევან ანდღულაძე, ზურაბ გაბათაშვილი და მეკარეთა დამრიგებელი თამაზ ოდიშელიძე წვრთნიან.

ამ გუნდს არც ჩემპიონთა ლიგა მოუგია და არც სხვა სადიდო ტურნირი, გამარჯვების გემოს ახლა იგებენ. ამიტომ გამარჯვებისთვის ალალად შექება არ უნდა დავამადლოთ.

ერთი სიტყვით, კარგი ბავშვები არიან, მუყაითი მწვრთნელები ჰყავთ და სწორადაც იწვრთნებიან.

ტურნირზე საუკეთესოებიც გამოარჩიეს: *მცველი:* ალიკ მკრტჩიანი (მიმინო); *ნახევარმცველი:* დაჩი კეკელია (ირაო); *თავდამსხმელი:* ილია კერძევაძე (ირაო); *ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი:* გიგა გურეშიძე (დერბი); *მაყურებლის სიმპათია:* რეზო ცქიფურიშვილი (ირაო 96); *საუკეთესო მოთამაშე:* სანდრო გურეშიძე (ირაო).

**ირაკლი ნინიძე**

# სანამ დიდები ცოდვილობდნენ

**სანამ** საყოველთაო ყურადღება საქართველოს ნაკრების ვაი, რომ უშედეგო თამაშებისკენ იყო მიპყრობილი, „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლაში ამავე სკოლის ღია პირველობა გაიმართა მინი ფეხბურთში.

ტურნირში 13-წლიანთა 8 გუნდმა ითამაშა, რომელთაგან 7 თბილისური იყო: „ნორჩი დინამოელის“ სამი გუნდი, „მიმინო“, „სიხარული“, „მეტრო“ და „იბერია“. ერთიც რუსთავული „ხალიბი“.

რუსთაველებმა ნახევარფინალში გაიღწიეს, სადაც ნორჩ დინამოელებს 0:5 დანებდნენ, მეორე ნახევარფინალში კი „მეტრომ“ „სიხარული“ არ გაახარა — 6:2, სამაგიეროდ, ფინალში თავად ვერ გაიხარა, „ნორჩმა დინამოელმა“ 7:2 მოიგო.

დაბოლოს გამარჯვებულთა დამრიგებლებიც ვახსენოთ. სკოლას ოთარ გეგეჭკორი და ოთარ შენგელია ხელმძღვანელობენ, გუნდი კი მოსაგებად გია ჯანგავაძემ გაწვრთნა.



**ირაკლი ნინიძე**

# გიგზი თუ ბექემი? რაიო!



ფერნანდო იერო (მარჯვნივ) ისევ ფორმაშია

— აი, მოდის სამი თვე, როდესაც ჩვენ მთელი წლისა უნდა ვითამაშოთ — ეს მადრიდის „რეალის“ კაპიტნის, ფერნანდო იეროს ნათქვამი გახლავთ. ტრავმების ხანა წარსულს ჩაბარდა, იერო მოედანზე გასასვლელად მზად არის. იგი ამბობს, რომ მის გარეშე გუნდმა ფანტასტიკური სამუშაო გასწია, ბექემის შესაძლო ყიდვის თემაზე კი დუმილს ამჯობინებს — მთავარი ამ სეზონის კარგად ჩამთავრებაა.

**— უკვე მზად ხართ ოფიციალურ შეხვედრაში სათამაშოდ?**

— ახლა, აღდგენითი პერიოდის ბოლო დღეები მიდგას და თუ ყველაფერი კარგად წავა, „რაიოსთან“ მოედანზე ვიქნები. რაც შეეხება ფორმას — მწვრთნელის განკარგულებაში გახლავართ. ახლა სამი უმნიშვნელოვანესი თვე გველწყება, რომელიც საგანგებოდ უნდა ჩავატაროთ. ამ სამ თვეში ტიტულებისთვის ვიბრძოლებთ.

**— როგორ შეაფასებთ უთქვენოდ გუნდის თამაშს?**

— ჩინებული იყო, ფანტასტიკური! შედეგები და ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლა ასაბუთებს, რომ გუნდს კარგი პერიოდი უნდა. ახლა მთავარია, ასევე თამაში სეზონის ბოლომდე შევძლოთ. იოლად არაფერი მოვა. წინ გზის ურთულესი და დაძაბული მონაკვეთი გველის. უნდა გვესმოდეს, რომ ესპანეთის ჩემპიონატში არიან გუნდები, რომლებიც ევროტურნირებში არ მონაწილეობენ.

**— ერთი სიტყვით, მოდუნების უფლება არ გაქვთ?**

— ასეთ დროს შესაძლოა იყო პირველი და უცბად მესამე გახდე. ქულათა სხვაობა ხომ უმნიშვნელოა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური ეტაპი დასრულებულია და წინ ისეთ დიად გუნდთან გველის თამაში, როგორიც „მანჩესტერი“. ძალიან კარგად გვესმის, რა სიძნელეებს გვიმზადებს კალენდარი.

**— „რეალსა“ და „მანჩესტერს“ შორის ფავორიტი რომელია?**

— ჩემთვის, ამ შეხვედრაში კი არა, საერთოდ, ყველგან და ყოველთვის მთავარი „რეალია“. მიუხედავად ამისა, ასეთ დიად გუნდს, როგორც „მანჩესტერია“, პატივს ვცემ და ვიცი, რომ სირთულეებს ვართ შეჯახებული. თუმცა, ამ თამაშამდე ესპანეთის ჩემპიონატში „რაიოს“ ვხვდებით, ეს მეტოქე კი ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს.

**— ბექემის შესაძლო შეძენაზე რას ფიქრობთ?**

— ასეთ თემებზე საუბარს ერთ წამსაც ვერ დავუთმობ. არა მგონია, ახლა სამისო მომენტი იყოს. არ მომწონს რაც ხდება და პლუს, ეს ჩემი საქმე არ არის. გასაგებია, რომ ესპანეთის პირველობამ ათი დღით დაისვენა, მაგრამ სალაპარაკოდ მაინც არის უფრო მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო ეგ თემა მოსაწყენია. მით უფრო, რომ იმ გუნდს და მის ფეხბურთელებს პატივს ვცემთ.

**— გიგზი უფრო საშიშია თუ ბექემი?**

— ამ წუთას „რაიო“ უფრო მაფიქრებს. ინგლისელებს კი ჩინებული ფეხბურთელები ჰყავთ. ბექემი ერთ-ერთი მათგანია. ამ გუნდს ევროპაში დიდი წონა აქვს.

**— ფლორენტინო პერესმა თქვა, რომ თქვენი ახალი კონტრაქტი უკვე თვალწინ უდგას.**

— ეს მამშვიდებს, თუმცა ფეხბურთში რა და როგორ ხდება, კარგად ვიცი. მთავარი ის არის, რომ ტრავმის შემდეგ დროულად გამოვჯანმრთელდე და ფორმაშიც მალე უნდა შევიდე.

**— თქვენს დაცვას ყოველთვის აკრიტიკებდნენ, თუმცა ფაქტია, რომ „რეალს“ ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული.**

— კრიტიკა მოდის ამბავია. მიხარია, რომ ჩემმა თანაგუნდელებმა ფანტასტიკური სამუშაო გასწიეს.

**— „რაიოსთან“ რომ არ გათამაშონ, ლოგიკურად მოგეჩვენებათ?**

— მწვრთნელის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ჩემმა ამხანაგებმა ისე კარგად ითამაშეს, რომ დელ ბოსკეს ნებისმიერ ნათქვამს მივიღებ.

**— მართალია, რომ სეზონის ბოლო მონაკვეთს კარგ ფორმაში ხვდებით?**

— ჩვენი ფილოსოფია სეზონის ბოლომდე თანმიმდევრულად მისვლაა. ახლა „რაიო“, შემდეგ „მანჩესტერი“...

**— ტრავმა რომ გქონდათ, რომელ თამაშზე ინერვიულეთ ყველაზე მეტად?**

— როდესაც მოსკოვის მატჩს ვუცქერდი, თუმცა ყველა შეხვედრა ძნელი ასატანი იყო, რადგან ჩემთვის ყველაზე ბუნებრივი მოედანზე ყოფნაა. გუნდმა დაამტკიცა, რომ რთულ ვითარებას ალღოს აუღებს. სწორედ ამის გამო უმჯობესდება ჩვენი თამაში.

**— შეიძლება იმის თქმა, რომ „ვალენსია“ უკვე ველარ გახდება ჩემპიონი?**

— სანამ თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს, არ შეიძლება. „ვალენსია“ მტკიცე ხასიათის გუნდია. მისი ჩავარდნა შესაძლოა ჩემპიონთა ლიგამ განაპირობა. ეს შეჯიბრება და მისი მატჩები იმდენად მაღალ რიტმში მიმდინარეობს, რომ გადაღლა ძალიან იოლია. ჩვენ, საბედნიეროდ, წინ გავედით, თუმცა „ვალენსია“ ტიტულისთვის კიდევ იბრძოლებს.

**— რამდენადაც ვიცით, ყველაზე მეტად „რეალ სოსიედადმა“ გაგაოცათ.**

— დიახ. ის ცხრილში ღირსეულ ადგილზე იმიტომ არის, რომ არაჩვეულებრივად თამაშობს. სახიფათო მეტოქეა, რომელიც არც ესპანეთის თასზე თამაშობს და არც ჩემპიონთა ლიგაში, ამიტომ მთელი ძალა პრიმერადივიზიონისკენ აქვს მიმართული.

***თარგმნა ბაჩუნა ძიძიამ***

# ბარსელონა სამართალს მადრიდში ეძებს



„ბარსას“ უფროსობამ რკინის ქალამნები ჩაიცვა და მადრიდის სასამართლოში წავიდა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის საჩივრად.

საქმე ის გახლავთ, რომ ფედერაციამ „კამპ ნოუს“ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა ჯერ კიდევ შარშან მომხდარი ინციდენტის გამო. გეხსომებათ, ბარსელონაში ჩასულ „რეალს“, უფრო კი ლუიშ ფიგუს, ტრიბუნებიდან ათასგვარი საგანი დაუშინეს. არა, დანა არ ყოფილა, აი, გოჭის თავი კი იყო. მაშინ თამაში 12 წუთით შეწყდა.

„ბარსელონას“ უფროსობამ ფედერაციასთან მოლაპარაკება სცადა, აქედან მიუდგა, იქიდანაც მიუდგა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ფედერაციამ დისკვალიფიკაცია ბრძანა. არადა, როგორი საქმეა: „ბარსას“ მომდევნო ორი საშინაო თამაში „დეპორტივოსთან“ და „სოსიედადთან“ აქვს და უნდა ნეიტრალური მოედანი?

„იძულებული ვართ, სასამართლოს ვთხოვოთ სასჯელის შეცვლა. იმედი გვაქვს, სასამართლო კლუბის 106 ათასი წევრისა და მილიონობით ქომაგის სურვილს გაითვალისწინებს“ — ნათქვამია კლუბის განცხადებაში. ვნახოთ.

**კოტე ძიძელია**

# ბაზარი ბაზრამდე

*დევიდ ბექემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ შესაძლო გადასვლაზე აგორებულმა ხმებმა უფრო გლობალურ მსჯელობას ჩაუყარა საფუძველი: როგორი იქნება 2003 წლის ზაფხულის სატრანსფერო ბაზარი.*

*უკვე მომდევნო სეზონში რაიან გიგზი, შესაძლოა, „ინტერში“ აღმოჩნდეს, დამიენ დაფი — „მანჩესტერში“, ჰიდეტოში ნაკატა — „ჩელსიში“, ფრანკ დე ბური — „აიაქსში“. მოკლედ, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს.*

*ამას წინათ, „ფრანს ფუტბოლმა“ საზაფხულო ტრანსფერების საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა.*



ფერნანდო მორიენტესი

**ფრანკ დე ბური, 33 წლის, „ბარსელონა“**

ტყუპისცალის კონტრაქტს ვადა 30 ივნისს გასდის. მისით „გლაზგო რეინჯერსი“ და „არსენალი“ არიან დაინტერესებულები, ყველაზე მეტად კი მისი ძველი კლუბი, „აიაქსი“.

**სატრანსფერო ღირებულება: თავისუფალი აგენტი**

**მიროსლავ კლოზე, 24 წლის, „ლაუტერნი“**

კლოზეს „ლაუტერნთან“ კონტრაქტის ვადა 2005 წელს გასდის, მისი იქ დარჩენა კი იმაზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა გუნდი ბუნდესლიგაში ადგილს და გაისტუმრებს თუ არა ვალებს. კლოზეს ხელში ჩაგდება „ბაიერნს“, „დორტმუნდს“, „ჰერტას“, „რომას“, „იუვენტუსსა“ და „მანჩესტერ სიტის“ სურთ.

**სატრანსფერო ღირებულება: 5 მილიონი ევრო**

**პატრიკ კლუივერტი, 26 წლის, „ბარსელონა“**

ჰოლანდიელისკენ მზერა „ლივერპულს“, „იუვენტუსს“, „ჩელსის“, „ინტერს“, „არსენალს“ და „რეალს“ მიუპყრიათ.

**სატრანსფერო ღირებულება: 18 მილიონი ევრო**

**დამიენ დაფი, 24 წლის, „ბლეკბერნ როვერსი“**

ირლანდიელი „ლივერპულს“ და „მანჩესტერს“ სურთ. ლივერპულელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ თქვა, ისეთი კაცი მჭირდება, პატრიკ ბერგერის, ბერნარ დიომედის და ბრუნო შეირუს ნაცვლად რომ გასწევს მარცხენა ნახევარმცველობასო.

**სატრანსფერო ღირებულება: 28 მილიონი ევრო**

**ფერნანდო მორიენტესი, 26 წლის, „რეალი“**

რონალდოს მისვლის შემდეგ სასტარტო შემადგენლობიდან ამოვარდნილი ფორვარდი „მილანს“, „რომას“, „ბეტისს“ და „სარაგოსას“ უნდათ. თუმცა „რეალი“ მას ძალიან ძვირად აფასებს.

**სატრანსფერო ღირებულება: 60 მილიონი ევრო**

**ჰიდეტოში ნაკატა, 26 წლის, „პარმა“**

მწვრთნელთან ნაჩხუბარ იაპონელს „მანჩესტერი“, „ჩელსი“, „არსენალი“, „მიდლსბრო“ და „მილანი“ უპირებენ ხელში ჩაგდებას.

**სატრანსფერო ღირებულება: 20 მილიონი ევრო**

**მანუელ რუი კოშტა, 31 წლის, „მილანი“**

აქ ყველაფერი ნათელია. პორტუგალიელმა ცხადად თქვა, რომ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კარიერას მშობლიურ „ბენფიკაში“ დაასრულებს.

**სატრანსფერო ღირებულება: 10 მილიონი ევრო**

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი, 21 წლის, „აიაქსი“**

ბოსნიური წარმომავლობის შვედს „რომა“ და „ბეტისი“ უმიზნებენ.

**სატრანსფერო ღირებულება: 12-15 მილიონი ევრო**

**ილდირაი ბაშთურქი, 24 წლის, „ლევერკუზენი“**

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თურქი კარიერას ინგლისში გააგრძელებს. მისით „არსენალი“, „ლივერპული“ და „მანჩესტერი“ არიან დაინტერესებულნი. ამათგან ყველაზე რეალური ვარიანტი ბაშთურქის „იუნაიტედში“ გადასვლაა.

**სატრანსფერო ღირებულება: 10-12 მილიონი ევრო**

**დევიდ ბექემი, 27 წლის, „მანჩესტერ იუნაიტედი“**

მადრიდის „რეალი“ ინგლისის ნაკრების კაპიტნის ხელში ჩაგდების მსურველთა შორის პირველია. თუმცა იტალიური „ინტერისა“ და „ბარსელონას“ დაინტერესებაც გასათვალისწინებელია.

**სატრანსფერო ღირებულება: 45-60 მილიონი ევრო**

**კრისტიან კივუ, 22 წლის, „აიაქსი“**

კარლო ანჩელოტიმ თქვა, „მილანის“ დაცვაში ადგილი გარანტირებული ექნებაო. „აიაქსის“ რუმინელი კაპიტნის გადაბირება, „რეალს“, „პარმას“, „ინტერს“ და „იუვენტუსსაც“ სურთ.

**სატრანსფერო ღირებულება: 18 მილიონი ევრო**

**რაიან გიგზი, 29 წლის, „მანჩესტერ იუნაიტედი“**

„იუნაიტედის“ მარცხენა გარემარბს „ინტერსა“ და „ბარსელონაში“ ეპატიჟებიან

**სატრანსფერო ღირებულება: 20-25 მილიონი ევრო**



# სიმენს შეუკიკინეს
## თოფი საიმედო ხელშია

*პროფესიონალ ფეხბურთელს კარიერის მანძილზე საშუალოდ 250-300 მატჩი უგროვდება, მეკარეებს — შედარებით მეტი. ვისაც ტრავმა ხშირად არ აწუხებს და შემადგენლობაში სტაბილურად თამაშობს, შეიძლება 500-საც უწიოს, უკეთეს შემთხვევაში 600 ან 700-საც კი. ლონდონის „არსენალისა" და ინგლისის ნაკრების მეკარემ დევიდ სიმენმა 999 შეხვედრა ჩაატარა. დღეს თუ კარში ჩადგება, საიუბილეო, მე-1000 მატჩს მიითვლის.*

*ზოგადად მეკარე გუნდში გამორჩეული კაცია. ამ მხრივ არც სიმენია გამონაკლისი. მისადმი დამოკიდებულება თავიდანვე ნაირგვარი იყო. ზოგი გულშემატკივრისთვის იგი საიმედო და პროფესიონალი კარის დარაჯია, ზოგის აზრით კი სიმენს სრულიად შემთხვევით ერგო პირველობა როგორც „არსენალში", ისე ინგლისის ნაკრებში.*

*ასეა თუ ისე, დევიდ სიმენი ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში მეორე „1000"-იანი გახდება მისივე კოლეგის, რეი კლემენსის შემდეგ. „ლივერპულის" ყოფილმა მეკარემ კლემენსმა კარიერა მეორეხარისხოვან გუნდებში დაასრულა, 39 წლის სიმენი კი კვლავაც კლუბისა და ნაკრების ძირითადი მეკარეა. სტაბილურობა ხომ კლასის ნიშანია და მას ამიტომაც შეარქვეს — „SAFE HANDS", რაც „საიმედო ხელებს" ნიშნავს.*

### დასაწყისი

1981 წელს 18 წლის დევიდი „ლიდსის" მეორე გუნდში გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ კარს ძალიან იშვიათად ანდობდნენ, მონაცემები არ დაეწუნებოდა. შუა სეზონში იგი მესამედივიზიონის „პიტერბროს" 4 ათასი გირვანქის სანაცვლოდ დაუთმეს. ლიდსელებს ის უხაროდათ, მასზე დახარჯული ფული რომ დაიბრუნეს. ორი წლის შემდეგ სიმენი მოყოჩაღდა და მისი ფასიც 100 ათას გირვანქამდე გაიზარდა. მეორედივიზიონელმა „ბირმინგემმა". „პიტერბროს" ზუსტად ამდენი გადაუხადა და მეკარე გადაიბირა. კიდევ ორი წლის მერე სიმენმა ერთი საფეხურით ზევით აინაცვლა, პირველი დივიზიონის „ქუინზ პარკ რეინჯერსში"-ში აღმოჩნდა. სწორედ იქ დაკაჟკაცდა და სანაკრებო მიწვევაც მიიღო.

1988 წლის 16 ნოემბერს ეროვნული გუნდის სამოსი პირველად მოირგო — საუდეთთან მატჩში პიტერ შილტონი შეცვალა. იმ დღესვე გამოჩნდა, რომ მას „ქუინზ პარკში"-ში დიდხანს აღარავინ გააჩერებდა და 1990 წლის 18 მაისს თავი „არსენალში" ამოყო.

„არსენალს" მეკარის შეძენა მილიონ 300 ათასი გირვანქა დაუჯდა. ეს ფასი ინგლისში იმ დროისთვის სარეკორდო იყო. დევიდ სიმენს ძირითადში დამკვიდრება არ გასჭირვებია და აგერ, უკვე 13 წელია, ადგილს არავის უთმობს, თუ, რა თქმა უნდა, ტრავმამ არ შეაწუხა. ამ მხრივაც ძალიან იღბლიანია და ჯანი იშვიათად ღალატობს. ცხადია, „არსენალში" უკონკურენტოდ არ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის სხვებზე უკეთეს ფორმაში მყოფს მწვრთნელები ბოლომდე ენდობოდნენ.

მისი დებიუტი 1990 წლის 25 აგვისტოს, „უიმბლდონთან" მატჩში შედგა. მაშინდელი „არსენალის" კარში დგომას ნებისმიერი მეკარე ინატრებდა. 90-იანი წლების დასაწყისში „მეთოფეთა" დაცვა თითქმის იდეალური იყო. ოთხი უკანახაზელი — სტივ ბოულდი, ნაიჯელ უინტერბერნი, მარტინ კიოუნი და ლეგენდარული ტონი ადამსი საჯარიმოში არავის აჭაჭანებდნენ. სიმენსაც თამაშში ჩართვა ალაგ-ალაგ უხდებოდა.

1990-91 წლების სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლებით ხელდამშვენებული დაბრუნდა. მუნდიალზე კარს პიტერ შილტონი იცავდა, რომელმაც ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა და თქვა, ადგილი სიმენისთვის დამითმიაო. სიმენი, პირველივე სანაკრებო მატჩში ბრწყინვალედ გაისარჯა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ ნაკრების კარში დამკვიდრება საკმაოდ ძნელი იყო. იმდროინდელი ინგლისის 22 უძლიერესი კლუბიდან 16-ში პირველი მეკარეები ინგლისელები იყვნენ.

დღეს საქმე სხვაგვარადაა. პრემიერლიგის გუნდებში უცხოელები პირველობენ, მათ შორის: სამი ფინელი, ორი ამერიკელი, ორი ირლანდიელი, ორი დანიელი, ჰოლანდიელი, პოლონელი, ბელგიელი, იტალიელი და ავსტრიელი. ასეთ ვითარებაში რომ ინგლისელი თავისი კლუბის ძირითადი მეკარე გახდება, თავისთავად ცხადია, ნაკრების კანდიდატობას იმსახურებს. ცამეტი წლის წინანდელი კონკურენციის პირობებშიც ეროვნული გუნდის მწვრთნელებს სიმენთან პრეტენზიები არ ჰქონიათ, თუმცა ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაში იოლი საქმე არაა და შავი ლაქები დევიდ სიმენის კარიერაშიც გამოერია.

### შავი ზოლი

პირველივე სეზონში გამოჩნდა, რომ კლუბს მეკარეში სარეკორდო თანხა ტყუილად არ გადაუხდია. სიმენი კარში საიმედოდ იდგა, შესაშური რეაქცია ჰქონდა და გამოსვლებზე უშეცდომოდ თამაშობდა, მაგრამ იდეალური ხომ ვერ იქნებოდა.

„შავი ზოლის" გავლება პოლ გესქოინმა დაიწყო. ინგლისის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს „არსენალი" და „ტოტენჰემი" ხვდებოდნენ. „მამლებში" ლინეკერთან, ჰოდლთან და უოდლთან ერთად „გაზაც" თამაშობდა. „არსენალი" 3:1-ს იგებდა, გესქოინმა უოდლისგან პასი მიიღო. მცველთან შეჯახებისას ბუცი დაკარგა, მაგრამ სიმენთან პირისპირ გასულმა შიშველი ფეხით ორჯერ ზედიზედ დაარტყა. პირველი მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ „გაზამ" მეორედ ისევ უბუცო ფეხით დაჰკრა და მაინც გაიტანა. გაშვებული გოლი მთლად მეკარის ბრალი არ იყო. გაზა — სიმენის დუელი გადათამაშებულ მატჩშიც გაგრძელდა. იქ უკვე პოლ გესქოინმა საკმაოდ კურიოზული გოლი შეაგდო. მახვილი კუთხიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა და სიმენს ახლოს, მაღალ კუთხეში გაუტანა. კარის ხაზიდან წინ გამოსული მეკარე საჯარიმოში ბურთის ჩაკიდებას ელოდა, ბურთი კი ბადეში აღმოჩნდა. მატჩის შემდეგ სიმენს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ.

მოგვიანებით „არსენალის" მეტოქეები ხშირად ცდილობდნენ, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ის, რომ დევიდ სიმენი კარის ხაზზე არ ჩერდებოდა და რამდენიმე მეტრით წინ დაბორიალობდა. მეკარემ სათამაშო ყაიდის შეცვლა არ ისურვა და ერთიორჯერ მისი კარი გოლისგან ხარიხამ იხსნა, მაგრამ ყოველთვის კარის ჩარჩო ხომ არ გადაარჩენდა?

1993 წელს „არსენალმა" ინგლისის თასი მოიგო, 1994-ში კი ევროპის თასების მფლობელთა თასიც აღმართა. 1995-ში „არსენალი" თასთა თასის ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდა. ფინალამდე „მეთოფეებმა" რიხით იარეს და მეტოქე „სარაგოსაზე" უკეთესადაც გამოიყურებოდნენ. ლონდონელთა რიგებში ლეგენდარული იან რაიტი თამაშობდა, დევიდ სიმენმა კი იმ სეზონში ექვსი თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

„არსენალსა" და „სარაგოსას" შორის 119-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ანგარიში 1:1 იყო და გუნდები საფინალო სასტვენს ელოდნენ. ალბათ სიმენი დარწმუნებულიც კი იყო, რომ პენალტების სერიაში ორ ბურთს მაინც გამოაძრობდა. მსაჯის შემყურე მეკარე კარიდან წინ გამოვიდა და „სარაგოსას" მაროკოელმა ლეგიონერმა ნაიმმა ორმოციოდ მეტრიდან ბურთი მის ზურგს უკან, კარში ჩაუშვა, რამაც ესპანელებს გამარჯვება მოუტანა.

დევიდ სიმენის კარიერაში ნაიმის გოლი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მწარედ მოსაგონარია. იმ წელს, 1995-ში, „არსენალის" კარის დარაჯი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეობის კანდიდატი იყო. მოცილეც თითქმის არავინ ჰყავდა, მაგრამ კურიოზულმა გოლმა დალუპა და საუკეთესოდ იმდროისთვის ევროპაში ჯერ კიდევ უცნობი ხოსე ლუის ჩილავერტი აღიარეს.

დევიდ სიმენს არც მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატი დაავიწყდება. რონალდინიოს შესრულებული საჯარიმო დარტყმა და ბურთთან ერთად კარში შეგორებული მეკარე მთელმა მსოფლიომ იხილა. მოგვიანებით ბრაზილიელმა აღიარა, რომ იგი უბრალოდ საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებას აპირებდა და გოლი კი გამოუვიდა. რონალდინიოს შემდეგ დევიდ სიმენი ლამაზი გოლით პრემიერლიგაშიც „დაასაჩუქრეს". ბოლტონელმა გარეტ ფარელმა მის ზურგს უკან მორიგი ბურთი ჩაუშვა, ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში კი მაკედონიელმა არტიმ შაქირმა კუთხურიდან პირდაპირ გაუტანა ინგლისის ნაკრების მეკარეს. ამ ამბავმა ინგლისელ ქომაგთა რისხვა გამოიწვია, 39 წლის კაცს კარში არაფერი ესაქმებაო.

მიუხედავად ამისა, სვენ გორან ერიქსონი მას მაინც ენდობა, რადგან იცის, რომ სიმენი პროფესიონალია. ასევეა კლუბშიც. „არსენალის" ახალწვეულმა მეკარეებმა ძირითადი შემადგენლობიდან სიმენის ამოგდება ვერ შეძლეს. არსენ ვენგერი სეზონის დაწყების წინ გაოცებული იყო — როცა ფეხბურთელებმა ტესტები გაიარეს, 39 წლის კაცმა ბოლო ათი წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი აჩვენა!

ტრავმა რომ არა, მე-1000 მატჩი მისთვის ორი კვირის წინ „ბლექბერნთან" გამართული შეხვედრა იქნებოდა. ვერც ნაკრებს დაეხმარა ევრო 2004-ის შესარჩევში, მაგრამ „ცხენისკუდა" მეკარე კარიერის დასრულებაზე არც კი ფიქრობს, გაისად პორტუგალიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს აპირებს. სულაც არაა აუცილებელი, რომ იგი მაინცდამაინც კარიერის დასრულების შემდეგ აღიარონ. დევიდ სიმენი უკვე სახელმოხვეჭილი კაცია და ერთგვარი კულტიცაა, რომელიც ქომაგებს ძველ, შილტონისა და ბენქსის დროსთან აკავშირებს.

სამაგალითოდ ამას წინათ მომხდარი ერთი ამბავიც გამოდგება. „არსენალი" — „ბირმინგემის" მატჩის შემდეგ სტუმართა ბელგიელი მეკარე ნიკო ვაესენი „მეთოფეთა" გასახდელში შევიდა და სიმენს ავტოგრაფი სთხოვა, ბავშვობიდან ვიცნობდიო, უთქვამს. კეთილშობილმა ინგლისელმა ბელგიელს თავისი ხელმოწერით დამშვენებული მაისური აჩუქა.

აი, სხვა ამბავიც: ინგლისის თასის მესამე ეტაპზე „არსენალს" ნახევრად სამოყვარულო კლუბი „ფარნბორო" გადაეყარა. წილისყრამ „ფარნბოროს" მასპინძლობა არგუნა. ლონდონელებმა მათ „ჰაიბერიზე" თამაში შესთავაზეს და მოლაპარაკების დაწყებისას „ფარნბოროს" პრეზიდენტმა ჯერ ის იკითხა, სიმენი თუ ითამაშებსო. თუ ითამაშებს, გეწვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში არაო.

დევიდ სიმენი კეფაზე ამოზრდილი კიკინისთვის არაერთხელ შეუხურებიათ. სოლიდური ასაკის კაცს, საზოგადოებაში პატივცემულს, მსგავსი რამ არ გეკადრებაო. მეკარემ უპასუხა: „19 წლიდან კარში ვდგავარ და ყოველთვის პირველი ნომერი ვიყავი. ამ ხნის მანძილზე თუ მხოლოდ კიკინს გამო მაკრიტიკებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითად მოვალეობას კარგად ვასრულებ. დანარჩენი არც მაინტერესებს. გთხოვთ, ნულარ შემეკითხებით, როდის დავასრულებ კარიერას. ჯერ ჯანზე ვარ და პენსიაში გასვლას არ ვაპირებ. კარში დგომა ძალიან მომწონს!"

**მამა ხუციშვილი**



# თასი ჩაბარდა

*მოსულა ჩემპიონთა თასის ჩაბარების დრო. თასის მფლობელ მადრიდის „რეალს" ეს ტროფეი მანჩესტერში ჩაუტანიათ და „ოლდ ტრეფორდის" უფროსობისთვის ჩაუბარებია. თასის მტვირთებლად „რეალს" უდიადესნი, ალფრედო დი სტეფანო (მარცხნივ) და ფრანსისკო ექტორ ხენტო გაუმწესებია, ის ხალხი, ვისაც ჯერ კიდევ 47 წლის წინათ სჭერია ეს თასი და იმის მერეც არაერთხელ სჭერია.*

*საქმე კი ის არის, რომ „ოლდ ტრეფორდის" პატრონი „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი" ამ თასის მეოთხედფინალში ხვდებიან ერთმანეთს. პირველები ოცნებობენ, რომ გაის ამდრომდე დაიტოვებენ თასს, მეორენი კი იმედოვნებენ, რომ მხოლოდ ორიოდ თვით გაასხვისეს ჯილდო და მალევე წაიღებენ უკან.*



## იტალია

პაპუნა კადია



ალესანდრო დელ პიერო ლუკა ბუჩის და „ტორინოს“ დღესაც შეუტევს

# თუ იუვემ ტორო დატორა...

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| იუვენტუსი | - | ტორინო |
| პარმა | - | მილანი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | - | ბრეშა |
| პერუჯა | - | ბოლონია |
| ლაციო | - | კომო |
| რეჯინა | - | ემპოლი |
| პიაჩენცა | - | მოდენა |
| ინტერი | - | რომა |
| კიევო | - | უდინეზე |

**საძლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 26 | 17 | 6 | 3 | 49:18 | 57 |
| ინტერი | 26 | 17 | 3 | 6 | 52:29 | 54 |
| მილანი | 26 | 15 | 7 | 4 | 46:20 | 52 |
| ლაციო | 26 | 11 | 12 | 3 | 45:27 | 45 |
| პარმა | 26 | 11 | 9 | 6 | 45:29 | 42 |
| კიევო | 26 | 12 | 5 | 9 | 34:28 | 41 |
| უდინეზე | 26 | 11 | 6 | 9 | 27:27 | 39 |
| რომა | 26 | 9 | 8 | 9 | 40:34 | 35 |
| ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 30:32 | 35 |
| პერუჯა | 26 | 9 | 7 | 10 | 32:34 | 34 |
| ბრეშა | 26 | 7 | 12 | 7 | 28:30 | 33 |
| მოდენა | 26 | 8 | 6 | 12 | 20:36 | 30 |
| ემპოლი | 26 | 7 | 7 | 12 | 30:39 | 28 |
| ატალანტა | 26 | 6 | 10 | 10 | 27:37 | 28 |
| რეჯინა | 26 | 7 | 5 | 14 | 27:44 | 26 |
| კომო | 26 | 3 | 10 | 13 | 22:42 | 19 |
| პიაჩენცა | 26 | 5 | 4 | 17 | 23:45 | 19 |
| ტორინო | 26 | 4 | 7 | 15 | 18:44 | 19 |

**ჩემპიონი** „იუვენტუსი“ და ორი მილანური კლუბი რთული მატჩების წინაშე დგანან. ახლანდელმა ტურმა შესაძლოა „სკუდეტოს“ ბედი მნიშვნელოვნად განსაზღვროს, ყოველ შემთხვევაში, მიმართულება მაინც მისცეს, თუმცა დაველოდოთ.

დაველოდოთ და ვნახოთ, რას იზამს დღეს „მილანი“ პარმაში, ხოლო იმავდროულად „სან სიროზე“ „ინტერსა“ და „რომას“ შეხვედრა როგორ დასრულდება. რაც შეეხება „იუვენტუ“, თეორიულად მას ყველაზე იოლი შეხვედრა ელის, აუტსაიდერ „ტორინოს“ მასპინძლობს, თუმცა ეს თამაში სხვანაირად ასე ჟღერს: ტურინული დერბი.

ნოემბერში ტურინული დერბი „ბებერი ქალბატონის“ გამარჯვებით, 4:0 დასრულდა, თუმცა წინა სეზონში 3:3 და 2:2 იყო. საერთოდ, ბოლო წლებში, „ტორინო“ სერია A-სა და B-ს შორის ლაყლაყებს და ახლაც ცალი ფეხი სერია B-ში აქვს ჩაყოფილი. აი, რას ამბობს „იუვენტუსის“ გაიტალიელებული არგენტინელი ნახევარმცველი მაურო კამორანეზი.

„როდესაც გუნდი მთელი სეზონის მანძილზე ისე თამაშობს, როგორ, „ტორო“, ალმაფრენის დასაბრუნებლად დიდი მეტოქის დამარცხება უნდა სცადოს. სწორედ ამას ველით ჩვენც და ამიტომ ფრთხილად, ყურადღებით ვაპირებთ თამაშს“.

„ბებერი ქალბატონის“ ალმაფრენა კი ალესანდრო დელ პიეროს მოედანზე დაბრუნება უნდა იყოს.

ახლა „მილანზე“, რომელმაც ორი კვირის წინ სწორედ „იუვენტუსს“ მოუგო და, როგორც გითხარით, „პარმას“ ხვდება. „პარმამ“ ბოლო ხუთ შეხვედრაში 11 ქულა მოიპოვა — არ წაუგია — და „ლაციოსთვის“ მეოთხე ადგილის წართმევას ფიქრობს — მეოთხეზე გასული კი საყოველთაოდ ცნობილია, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

*კახა კალაძე:* „ერთი ხანია, „პარმა“ კარგად თამაშობს, მაგრამ ამ გუნდისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩვენ მოგებას შევეცდებით“.

ხოლო იტალიის ორი წლის წინანდელი ჩემპიონი „რომა“, რომელსაც დღეს ალარაფრის იმედი აღარ აქვს, ახლა, სამ მიყოლებულ ტურში სამივე ფავორიტს შეხვდება.

„კარგ თამაშს ველი, რომელშიც ის მოიგებს, ვინც მოედნის ცენტრს დაიპყრობს — თქვა „ინტერის“ ნახევარმცველმა კრისტიანო ძანეტიმ, რომელიც 2001 წელს „რომას“ შემადგენლობაში ჩემპიონი გახდა — ჩვენ იგივე შეცდომა, რაც უდინეში დავუშვით, აღარ უნდა გავიმეოროთ და თამაშს სწორი განწყობით უნდა მივუდგეთ“.

„ლაციო“ „კომოს“ ხვდება — „ლაციო“ წინა ტურში „პარმასთან“ დამარცხდა — და, ალბათ, იოლად გაიმარჯვებს, რომაელებს არ ეყოლებათ იაპ სტამი, რომელიც ოთხშაბათს, ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას დაშავდა.

## ინგლისი

ნინიძე

# რობსონს საიდილა აკლდა

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | — | არსენალი |
| ტოტენჰემი | — | ბირმინგემი |
| ბოლტონი | — | მანჩესტერ სიტი |
| ჩარლტონი | — | ლიდსი |
| მანჩესტერი | — | ლივერპული |
| მიდლსბრო | — | ვესტ ბრომვიჩი |
| საუთჰემპტონი | — | ვესტ ჰემი |
| სანდერლენდი | — | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ევერტონი | — | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| ფულემი | — | ბლექბერნი |

**საძლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 31 | 20 | 6 | 5 | 66:33 | 66 |
| მანჩესტერი | 31 | 19 | 7 | 5 | 51:27 | 64 |
| ნიუკასლი | 31 | 19 | 4 | 8 | 54:35 | 61 |
| ჩელსი | 31 | 15 | 9 | 7 | 57:31 | 54 |
| ლივერპული | 31 | 14 | 10 | 7 | 47:31 | 52 |
| ევერტონი | 31 | 14 | 8 | 9 | 39:36 | 50 |
| ჩარლტონი | 31 | 13 | 7 | 11 | 40:39 | 46 |
| ბლექბერნი | 31 | 12 | 10 | 9 | 38:37 | 46 |
| საუთჰემპტონი | 31 | 11 | 11 | 9 | 34:32 | 44 |
| ტოტენჰემი | 31 | 12 | 7 | 12 | 43:44 | 43 |
| მიდლსბრო | 31 | 11 | 9 | 11 | 39:35 | 42 |
| სიტი | 31 | 12 | 5 | 14 | 40:49 | 41 |
| ფულემი | 31 | 10 | 8 | 13 | 35:40 | 38 |
| ასტონ ვილა | 31 | 10 | 6 | 15 | 33:37 | 36 |
| ბირმინგემი | 31 | 9 | 8 | 14 | 28:41 | 35 |
| ლიდსი | 31 | 10 | 4 | 17 | 38:45 | 34 |
| ბოლტონი | 31 | 7 | 11 | 13 | 33:47 | 32 |
| ვესტ ჰემი | 31 | 7 | 9 | 15 | 34:53 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 6 | 20 | 21:47 | 21 |
| სანდერლენდი | 31 | 4 | 7 | 20 | 19:50 | 19 |

**რა დიდი** მიხვედრა და მტკიცება უნდა, რომ ტურის მთავარი თამაში „მანჩესტერი“ — „ლივერპულია“.

შეგვეძლო გვეთქვა, რომ „მანჩესტერი“ დღეს ლიგის თასის ფინალში დამარცხებისთვის შურისძიებას ეცდება. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ „იუნაიტედს“ ლიგის თასი დიდი. ხანია, დავიწყებული აქვს, რაკი ბევრად დიდი მიზნისთვის იბრძვის და ამ მიზნის მიღწევა სავსებით რეალურად მოსჩანს — პრემიერლიგის გასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი, მანჩესტერელები კი ლიდერს ოდენ ორი ქულით ჩამორჩებიან. ისე კი, მიზნის მიუხედავად, „მანჩესტერი“ — „ლივერპული“ უბრალო თამაში არასდროს ყოფილა.

დღეს მასპინძლებს ეყოლებათ როი კინი, სტუმრებს კი ალბათ დააკლდებათ მაიკლ ოუენი, რომელიც თურქებთან სანაკრებო მატჩისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მას ზურგი სტკივა.

„მანჩესტერის“ ჩემპიონობას წინ „არსენალი“ უდგას. ლონდონელი „მეთოფენი“ დღეს ბირმინგემში ხვდებიან „ასტონ ვილას“. ერთი კვირის წინ ლონდონელთაგან აქილევსის მყესს იტკიებდა სოლ კემპბელი და ამადაც გამოტოვა ლიხტენშტაინთან მატჩი. მაგრამ შუა კვირაში ეს მცველი მომჯობინდა და თურქეთთან ითამაშა. კემპბელი „ასტონ ვილასთან“ სათამაშოდაც მზად არის.

მასპინძელთა მენეჯერი გრემ ტეილორი კი თავდასხმას ამ კვირაში სანაკრებოდ თავგამოჩენილ ფორვარდებს მიანდობს. ასეთი მას ორი ჰყავს: დარიუს ვასელი და მარკუს ოლბოკი. ვასელმა თურქები გატეხა, ოლბოკმა კი შვედეთისთვის გაიტანა უნგრეთთან შეხვედრაში. ისიც სათქმელია, რომ ოლბოკი შარშან გადავიდა „ვილაში“ „ჰერენვენიდან“ და მას მერე მხოლოდ ერთი ბირმინგემული გოლი აქვს გატანილი, სასტარტო შემადგენლობაში კი ნოემბერს აქეთ არ უთამაშია.

„არსენალსა“ და „მანჩესტერზე“ ნაკლები, მაგრამ საჩემპიონო შანსი აქვს „ნიუკასლ იუნაიტედსაც“, რომელიც გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე მოფიქრალ „ევერტონს“ სტუმრობს.

ამ შეხვედრაში ძველი მეგობრები გადაეყრებიან ერთმანეთს — ფორვარდი დანკან ფერგიუსონი ხომ ერთ დროს ნიუკასლელი იყო. „ევერტონის“ ყმაწვილი ვუნდერკინდი უეინ რუნი კი, ვისაც შუა კვირაში სრული სანაკრებო დებიუტი ჰქონდა, თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

უელსისა და აზერბაიჯანის შეხვედრაში დაშავდნენ გარი სპიდი და კრეიგ ბელამი, ჰოდა, „ნიუკასლი“ ახლა ექიმთა სიტყვას ელის. ასევე საეჭვოა, რომ „კაჭკაჭებს“ პორტუგალიელი ნახევარმცველი უგო ვიანა წაადგეთ რამეში.

ოთხი ტურის წინ იფიქრებდით, „ჩელსი“ წინ თუ წაიწევს, თორემ მეოთხე ადგილზე ქვემოთ არაფრით დაეშვებაო. იმ ოთხ ტურში ლონდონელებმა ექვსი ქულა დაკარგეს, მდევრები წამოეწივნენ, წინ მყოფებმა კი კიდევ უფრო გაუსწრეს. ჰოდა, ახლა პირიქით უნდა ვთქვათ: „ჩელსი“ ქვევით თუ ჩავარდება, თორემ უკეთეს ადგილს ველარ წაეპოტინება. დღეს „ჩელსი“ სანდერლენდში თამაშობს და ალბათ ეიდურ გუდიონსენი გამოაკლდება, რომელიც წინა შაბათს შოტლანდიასთან მატჩისას დაშავდა.

„სანდერლენდს“ კი პრემიერლიგაში ყოფნის ვადა ნელ-ნელა ეწურება. ახალმა მენეჯერმა მიკ მაკარტიმ, ფეხბურთელები რომ შეენჯლრია, ექვსი რჩეული მოთამაშე, მათ შორის კევინ ფილიპსი, შუა კვირაში სარეზერვო გუნდში ათამაშა.

ასე თუ გააგრძელა, „ლიდსიც“ „სანდერლენდის“ გზას გაუყვება. ზედიზედ ოთხი წაგების მერე იორკშირელებს გასავარდნ ზონასთან ოთხი ქულაღა აშორებთ. მოგეხსენებათ, ტერი ვენეიბლზის გადადგომის მერე გუნდი დროებით პიტერ რიდმა ჩაიბარა და ერთი თამაშის წაგებაც მოასწრო. „ლიდსის“ სარეზერვო გუნდი „ლივერპულის“ რეზერვისტებთან დამარცხდა. „ლიდსის“ მთავარ გუნდში კი ორთვიანი მკურნალობის მერე მცველი დომენიკ მატეო ბრუნდება.

„ლიდსის“ მასპინძელი „ჩარლტონ ატლეტიკია“, რომელმაც ბოლო ტურებამდე 15 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგო და საუეფასთასო ადგილს უმიზნებს. თუმცა ისიცაა, რომ ჩარლტონელებმა ბოლო სამ ტურში ოდენ ერთი ქულა მიითვალეს.



ნაკრებში თავგამოჩენილი დარიუს ვასელი (№18), ცხადია, „ასტონ ვილას“ ძირითადში იქნება

## გერმანია

დავით თაქართქილაძე

„ჰანოვერი“ გასავარდნ ზონიდან შორს აწყორცნილი არაა, მაგრამ მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონს ალმაცერად ნუ უყურებთ — გასვლაზე მას „დორტმუნდმაც“ ვერ მოუგო, ხოლო ჰანოვერელთა დღევანდელი მეტოქე „ბაიერნზე“ შარშანდელ ამბავს გაგახსენებთ — პირველი წრის მატჩში ბავარიელებმა მიუნხენში ვერაფერი მოუხერხეს „ჰანოვერ 96“-ს — 3:3.

მიუნხენელებს ამას წინათ როკე სანტა კრუზი დაუშავდათ და მერვე ტრავმირებული ფეხბურთელიც გამოაკლდათ — შვიდეული კი ასეთია — ოუენ ჰარგრივსი, ზე რობერტო, მიხაელ ბალაკი, იენს იერემისი, მეჰმეთ შოლი, ჰასან სალიჰამიჯიჩი და ალექსანდრ ციკლერი.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, „ბაიერნი“ მარშით მიდის მეთვრამეტედ გასაჩემპიონებლად, რასაც მეორეადგილოსან „დორტმუნდთან“ თხუთმეტქულიანი უპირატესობაც მოწმობს. თუმც ისიცაა, რომ „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა და მთელის გზნებით ბუნდესლიგასღა ეკუთვნის.

მათიას ზამერის „დორტმუნდი“ უეფას თასის საგზურისთვის მეოცნებე ბრემენის „ვერდერს“ მასპინძლობს. „მუსიკოსებისას“ კაცი ვერაფერს გაიგებს — შთამბეჭდავი პირველი წრის მერე ალბათ ცუდად გამოიზამთრა და მეორე წრეში დაბდურა გუნდის იერსახე მიიღო.

დორტმუნდელებს არ ეყოლებათ ტრავმირებული შუახაზელი იორგ ჰაინრიხი და მცველი კრისტოფ მეცელდერი. ბრემენელები კი ორ დისკვალიფიცირებულს მოისაკლისებენ — ჰოლანდიელ მცველ ფრანკ ვერლაატს და უნგრელ ნახევარმცველ კრისტიან ლისტეშს.

ჩემპიონატის ალმოჩენა, ფელიქს მაგათის „შტუტგარტი“ ყოფილ გდრ-ში, კოტბუსში ჩავა და ბოლოადგილოსან „ენერგის“ გაეჯიბრება.

„კოტბუსი“ კაპასი გუნდია, თუმც მეორე ბუნდესლიგაში ჩახტომა ელის, თუ სასწაულს ვერ მოახდენს. ისე, ამ გუნდთა ბოლო ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა — 0:0.

ახალგაზრდული „შტუტგარტი“ მხცოვან ბულგარელ პლეიმეიკერს ვერ იახლებს კოტბუსში — კრასიმირ ბალაკოვი დისკვალიფიცირებულია.

შტუტგარტელთა მდევარი ბერლინის „ჰერტა“ ფარმაკოლოგიურ ლევერკუზენიდან ეცდება ხელცარიელი არ დაბრუნდეს შინ. „ბაიერის“ გასაჭირზე და ფეხბურთელთა ტრავმებზე ახალს ვერაფერს გეტყვით, „ჰერტას“ კი ორი დაშავებული არ ეყოლება — ჰოლანდიელი მცველი დიკ ვან ბურიკი და ბრაზილიელი შემტევი ლუიზაო.

„ჰამბურგს“ ორი მცველ, ტომაშ იჟფალუში და ბერნდ ჰოლერბახი გამოუჯანმრთელდა და საწუწუნოც არაფერი აქვს. ჩრდილოელთა დღევანდელ მეტოქე „არმინიას“ კი რამდენიმე მოთამაშე ჰყავს შეუძლოდ, რომელთაგან ყველაზე ფასეულები ნახევარმცველი მიხაელ შტერნკოპფი და ფორვარდი ილია არაჩიჩი არიან.

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | — | ჰერტა |
| ჰანოვერი | — | ბაიერნი |
| დორტმუნდი | — | ვერდერი |
| ჰამბურგი | — | არმინია |
| ნიურნბერგი | — | შალკე |
| კოტბუსი | — | შტუტგარტი |
| ბოხუმი | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| ჰანზა | — | ვოლფსბურგი |
| მიუნხენ 1860 | — | გლადბახი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 26 | 19 | 5 | 2 | 57:16 | 62 |
| დორტმუნდი | 26 | 13 | 8 | 5 | 41:20 | 47 |
| შტუტგარტი | 26 | 13 | 7 | 6 | 40:29 | 46 |
| ჰერტა | 26 | 12 | 6 | 8 | 40:27 | 42 |
| ჰამბურგი | 26 | 11 | 7 | 8 | 32:32 | 40 |
| შალკე | 26 | 9 | 12 | 5 | 36:30 | 39 |
| ვერდერი | 26 | 11 | 4 | 11 | 40:37 | 37 |
| ვოლფსბურგი | 26 | 10 | 5 | 11 | 31:33 | 35 |
| მიუნხენი | 26 | 9 | 7 | 10 | 33:41 | 34 |
| ჰანოვერი | 26 | 9 | 5 | 12 | 37:47 | 32 |
| ლაუტერნი | 26 | 8 | 7 | 11 | 34:34 | 31 |
| არმინია | 26 | 7 | 10 | 9 | 29:32 | 31 |
| ჰანზა | 26 | 8 | 7 | 11 | 27:32 | 31 |
| ბოხუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 40:47 | 30 |
| გლადბახი | 26 | 8 | 5 | 13 | 28:36 | 29 |
| ნიურნბერგი | 26 | 8 | 4 | 14 | 30:45 | 28 |
| ლევერკუზენი | 26 | 7 | 6 | 13 | 32:42 | 27 |
| კოტბუსი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:50 | 23 |

# ბაიერნმა მუსიკოსებისგან მარში ისესხა. ვინღა დაუკრავს?

## ცხვირაწეული საშა – კლაუსის მაშველი



დაშავებული როკე სანტა კრუზი ჯოვანი ელბერის მეწყვილეობას ვერ შესძლებს

„შალკეს“ ახალ დამრიგებელ მარკ ვილმოტსს კი შეუძლია ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების არყოფნაზე დაიჩივლოს, მაგრამ მისგან მაინც სამ ქულას ითხოვენ.

იგივეს ელიან კლაუს აუგენტალერის „ნიურნბერგისგან“ — ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი გუნდისთვის საშინაო მატჩებში ხომ მხოლოდ მოგება ჩაითვლება დადებით შედეგად. თანაც ნიურნბერგელებს ცხვირაწეული, ტრავმამოშუშებული თავდამსხმელი საშა ჩირიჩი დაუბრუნდათ.

პეტერ ნოირურერი ერიკ გერეტსის წინააღმდეგ — ორი მეფილოსოფოსე, უცნაური მწვრთნელის დუელი ცუდი არ უნდა გამოვიდეს. თანაც ნოირურერის „ბოხუმი“ და გერეტსის „ლაუტერნი“ არგავარდნისთვის პაექრობაში უშუალო კონკურენტები არიან.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ ითამაშებს იურგენ რიობერის „ვოლფსბურგი“ შტეფან ეფენბერგის გარეშე, რომელსაც ფოლკსვაგენეთში კი არა, საერთოდ ბუნდესლიგაში თამაში აღარ სურს და „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი გაწყვიტა.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# მეზობლის გუნდი მეზობლის ქალი არაა

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | — | რაიო ვალეკანო |
| ბეტისი | — | ვალენსია |
| ვილიარეალი | — | ბარსელონა |
| ესპანიოლი | — | სელტა |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | — | ატლეტიკო |
| ოსასუნა | — | მალაგა |
| ვალიადოლიდი | — | უელვა |
| ალავესი | — | მალიორკა |
| რასინგი | — | სევილია |
| დეპორტივო | — | სოსიედადი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 27 | 16 | 9 | 2 | 61:26 | 57 |
| სოსიედადი | 27 | 15 | 9 | 3 | 47:34 | 54 |
| დეპორტივო | 27 | 15 | 6 | 6 | 43:29 | 51 |
| ვალენსია | 27 | 13 | 8 | 6 | 42:21 | 47 |
| სელტა | 27 | 13 | 5 | 9 | 33:24 | 44 |
| ატლეტიკო | 27 | 10 | 9 | 8 | 38:33 | 39 |
| სევილია | 27 | 10 | 9 | 8 | 24:20 | 39 |
| ბეტისი | 27 | 10 | 8 | 9 | 36:37 | 38 |
| ბარსელონა | 27 | 9 | 9 | 9 | 44:34 | 36 |
| მალიორკა | 27 | 10 | 5 | 12 | 30:42 | 35 |
| ბილბაო | 27 | 9 | 6 | 12 | 39:46 | 33 |
| მალაგა | 27 | 7 | 11 | 9 | 34:33 | 32 |
| ვალიადოლიდი | 27 | 9 | 5 | 13 | 27:31 | 32 |
| ვილიარეალი | 27 | 8 | 8 | 11 | 26:32 | 32 |
| ესპანიოლი | 27 | 8 | 6 | 13 | 29:36 | 30 |
| ოსასუნა | 27 | 7 | 9 | 11 | 27:34 | 30 |
| რასინგი | 27 | 9 | 2 | 16 | 33:43 | 29 |
| ალავესი | 27 | 7 | 8 | 12 | 31:50 | 29 |
| რაიო ვალეკანო | 27 | 7 | 5 | 15 | 24:40 | 26 |
| უელვა | 27 | 5 | 9 | 13 | 26:49 | 24 |

**ერთი მხრივ**, როცა ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურია დარჩენილი, ლიდერს კი უახლოეს მდევართან ოდენ სამი ქულა აშორებს, კაცმა არც უნდა თქვას, ვინ გახდება ჩემპიონი. მაგრამ კითხვა სხვაგვარად დავსვათ: თუკი ამ ტურში „რეალი“ თავისივე სტადიონზე მაჩანჩალა „რაიო ვალეკანოს“ მოუგებს (და, ალბათ, მოუგებს კიდეც), ხოლო „სოსიედადი“ „დეპორტივოსთან“ დამარცხდება, მაშინ ლიდერი ექვსი ქულით გაიჭრება წინ და ვინ უფრო შეძლებს მის დაწევას, „სოსიედადი“ თუ „დეპორტივო“? ალბათ, ვერცერთი. მაგრამ თუ მაინცდამაინც რომელიმეს არჩევაზე მიდგა საქმე, ალბათ მაინც „დეპორტივო“, რაკი სანსებასტიანელებს დღითიდღე ელევათ საჩემპიონო ენერგია და ეს აშკარად ჩანს.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეთქვა: ხვალ „სოსიედადისთვის“ ეგებ გადამწყვეტი მატჩიც იყოს, რომელშიც უნდა გაარკვიოს, აგრძელებს თუ არა ეს გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ბასკთა სერბმა ფორვარდმა დარკო კოვაჩევიჩმა თქვა: ეს თამაში გვიჩვენებს, ჩვენ ორიდან რომელი იბრძოლებს პირველობისთვისო.

„სოსიედადისა“ და „დეპორტივოს“ შეხვედრა პრიმერადივიზიონის დიდმეგოლეთა დუელიც იქნება. ლაკორუნიელ როი მაკაის აქამდე 20 გოლი გაუტანია და საუკეთესო ბომბარდირია. სიაში მეორე კოვაჩევიჩია 15 გოლით.

ამ მატჩზე კიდევ ის ვთქვათ, რომ სტუმრებს რუსი ვალერი კარპინი არ ეყოლებათ, მასპინძლები კი უძლიერეს შემადგენლობას გაიყვანენ.

„რეალი“ კი, როგორც მოგახსენეთ, სულთმობრძავ მეზობელს ხვდება და ნაკლებად ადარდებს, რომ ლუიშ ფიგუ, კლოდ მაკელელე და ივან ელგერა არ ეყოლება. სამივე სანაკრებო მატჩებისას დაშავდნენ. სამაგიეროდ, ითამაშებს რონალდო, ნახევარდაცვაში გაჩენილ ხვრელებს კი ესტებან კამბიასო და სანტიაგო სოლარი ამოავსებენ.

სევილიაში „ბეტისი“ მასპინძლობს „ვალენსიას“. მასპინძლები მე-8 ადგილზე არიან და უეფას ზონას უმიზნებენ, ჩემპიონი კი საჩემპიონთალიგოს. მოკლედ, კარგი თამაში უნდა გამოდგეს, მაგრამ დახეთ: „ბეტისს“ აგერ უკვე ხუთი თამაშია, არ მოუგია, „ვალენსიას“ — ოთხი.

მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ ყველაზე სანახაობრივი თამაში ბილბაოში იქნება, იქაურები მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობენ. რატომ ვფიქრობთ ასე? ერთი, რომ ორივე გუნდი შემტევი ფეხბურთის მომხრეა და თან ამათი პირველი წრის მატჩი 3:3 დასრულდა. ბასკური ფეხბურთის ქომაგისთვის კარგი ამბავიც გვაქვს: აიტორ კარანკამ, ბიტორ ალვირამ და ისმაელ ურსაისმა მცირე ტრავმები მოიშუშეს, თუმც ხოსება ეჩებერია სანაკრებო მოვალეობის შესრულებისას დაშავდა.

აქამდე არასდროს მომხდარა, ანონსში „ბარსელონა“ არ გვეხსენებინოს და წესს ახლაც ვერ გადავალთ, თუმცა სათქმელიც ბევრი არაფერია: „ვილერეალის“ და „ბარსელონას“ შემადგენლობებში რამე გამოსარჩევი ცვლილებები არაა. ამიტომ მხოლოდ იმასღა შევახსენებთ, რომ რაც გუნდში რადომირ ანტიჩი მივიდა, ეს ამბავი კი ორი თვის წინ მოხდა, „ბარსა“ დაუმარცხებელია.

მნიშვნელოვანი ცნობა კი „მალაგას“ ბანაკიდან მოვიდა: დარიო სილვასა და დელი ვალდესის თამაში ერთობ საეჭვოა: „მალაგა“ „ოსასუნას“ სტუმრობს.





როი მაკაისა და დარკო კოვაჩევიჩის დუელი ხვალ ლა კორუნიაში გაგრძელდება

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ


### გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 18.30 | 003 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 004 | ჰამბურგი-არმინია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-შალკე | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.30 | 007 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 20.30 | 009 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1.15 | 1,23 | 1,87 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVII ტური

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 014 | ტრიერი-სტ.პაული | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 18.00 | 015 | ალენი-აინტრახტი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.00 | 016 | ლიუბეკი-ალემანია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 017 | უნიონი-კარლსრუე | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |

**7 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | რეიტლინგენი-ფრაიბურგი | 2.9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXV ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 020 | კიოლნი(მ)-ფერლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-დორტმუნდი(მ) | 2.2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 022 | დინამო-აუე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-ურდინგენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.00 | 024 | მიუნსტერი-დრეზდენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 17.00 | 025 | ესენი-ჰამბურგი(მ) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.00 | 026 | ვერდერი(მ)-ოსნაბრიუკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.00 | 027 | ვატენშაიდი-კილი | 1,45 | 3.8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 028 | ვატენშაიდი-კილი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVIII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 034 | შვაინფურტი-აინტრახტი(მ) | 1.95 | 3.2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 17.30 | 035 | ბაიერნი(მ)-ლაუტერნი(მ) | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 17.30 | 036 | ნოინკირხენი-კასელი | 4,0 | 3,5 | 1,75 | 1,86 | 1,21 | 1,16 |
| 17.30 | 037 | აუგსბურგი-ზიგენი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1.09 | 1,22 | 2,1 |
| 17.30 | 038 | ვეენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |
| 17.30 | 039 | აალენი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 040 | ბოლტონი-სიტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 16.30 | 041 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-არსენალი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 043 | ჩარლტონი-ლიდსი | 2.1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 044 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 045 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 046 | სანდერლენდი-ჩელსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 19.00 | 047 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 048 | ევერტონი-ნიუკასლი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

**7 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 049 | ფულემი-ბლეკბერნი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXXI ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 051 | ბრედფორდი-მილუოლი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 19.00 | 052 | ბარნსლი-უოტფორდი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 053 | კრისტალ პალასი-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 054 | დერბი-ნორვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 055 | იფსვიჩი-ნოტინგემი | 2.05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 056 | ლესტერი-გრიმსბი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 057 | ლესტერი-გრიმსბი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 058 | პრესტონი-ქოვენთრი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 059 | უენსდი-უიმბლდონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 060 | სტოუკი-ჯილინგემი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 062 | ვულვერჰემპტონი-როტერჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.35 | 061 | უოლსოლი-პორტსმუთი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**7 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 063 | უიმბლდონი-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXXI ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 065 | ბრენტფორდი-ჩელტენჰემი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 066 | კარდიფი-ქუინზ პარკი | 1,8 | 3,3 | 4.0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 067 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | | | |
| 19.00 | 068 | ლუტონი-ტრანმერი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 069 | მენსფილდი-პორტ ვეილი | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-ბლეკპული | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 071 | ოლდემი-ბარნსლი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 19.00 | 072 | პიტერბორო-სუინდონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 073 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 074 | უიგანი-სტოკპორტი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXXI ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 077 | როვერსი-რაშდენი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 078 | ექსეტერი-ბერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 079 | ჰალი-რექსემი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 080 | კიდერმინსტერი-ჰარტლპული | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 081 | ლეიტონი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 082 | ლინკოლნი-ოქსფორდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 083 | მაკლსფილდი-კემბრიჯი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 084 | როჩდეილი-ტორკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 085 | სკანთორპი-ბორნმუთი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 086 | შრუსბერი-სუონსი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 087 | საუთენდი-დარლინგტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

### იტალია. სერია "A". XXVII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 088 | იუვენტუსი-ტორინო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 089 | იუვენტუსი-ტორინო 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,0 | | | |
| 23.30 | 090 | პარმა-მილანი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 091 | ბრეშა-ატალანტა | 2,05 | 2,7 | 4,2 | 1,16 | 1,37 | 1,64 |
| 18.00 | 092 | კიევო-უდინეზე | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 18.00 | 093 | ლაციო-კომო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 094 | ლაციო-კომო 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 18.00 | 095 | პერუჯა-ბოლონია | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 18.00 | 096 | პიაჩენცა-მოდენა | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 097 | რეჯინა-ემპოლი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.30 | 098 | ინტერი-რომა | 1,75 | 3.1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

### იტალია. სერია "B". XXIX ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 100 | ასკოლი-კატანია | 1,75 | 2,9 | 5,6 | 1,09 | 1,33 | 1,91 |
| 23.30 | 101 | კოზენცა-ტერნანა | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 23.30 | 102 | ჯენოა-ლივორნო | 2,15 | 2,7 | 3,8 | 1,19 | 1,37 | 1,57 |
| 23.30 | 103 | ლეჩე-კალიარი | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| 23.30 | 104 | მესინა-ანკონა | 2,8 | 2,3 | 3,3 | 1,26 | 1,51 | 1,35 |
| 23.30 | 105 | სალერნიტანა-ვენეცია | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 23.30 | 106 | სიენა-ნაპოლი | 1,75 | 2,8 | 5,6 | 1,07 | 1,33 | 1,86 |
| 23.30 | 107 | ვიჩენცა-ვერონა | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |

**7 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 108 | ტრიესტინა-სამპდორია | 2,45 | 2,6 | 3,2 | 1,26 | 1,38 | 1,43 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 110 | რეალი-რაიო | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 111 | რეალი-რაიო 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 23.30 | 112 | ბეტისი-ვალენსია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 23.45 | 113 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 00.30 | 114 | ესპანიოლი-სელტა | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 115 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 116 | რასინგი-სევილია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 117 | ალავესი-მალიორკა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 21.00 | 118 | ბილბაო-ატლეტიკო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 21.00 | 119 | ოსასუნა-მალაგა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.30 | 120 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXX ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 121 | მურსია-ელჩე | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 122 | ხეტაფე-ალმერია | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 123 | სარაგოსა-ლას პალმასი | 1,7 | 2,9 | 6,0 | 1,07 | 1,32 | 1,95 |
| 20.00 | 124 | კორდობა-სპორტინგი | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1,37 | 1,5 |
| 21.00 | 125 | კომპოსტელა-ტერასა | 2,15 | 2,7 | 3,8 | 1,19 | 1,37 | 1,57 |
| 21.00 | 126 | ოვიედო-ეიბარი | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1,37 | 1,5 |
| 21.00 | 127 | სალამანკა-ლევანტე | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 21.00 | 128 | ლეგანესი-ხერესი | 1,75 | 2,9 | 5,3 | 1,09 | 1,31 | 1,87 |
| 21.00 | 129 | ფეროლი-ბადახოსი | 2,4 | 2,8 | 3.1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 21.00 | 130 | ეხიდო-ალბასეტე | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 22.00 | 131 | ტენერიფე-ნუმანსია | 1,75 | 2,8 | 5,6 | 1,07 | 1,33 | 1,86 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 132 | ლიონი-ლე ავრი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 133 | ლიონი-ლე ავრი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 134 | ოსერი-აიაჩო | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 135 | რენი-ბორდო | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.00 | 136 | მარსელი-გენგამი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 137 | ნანტი-ლილი | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 23.00 | 138 | სედანი-მონპელიე | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 139 | სოშო-პსჟ | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 140 | ლანსი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 23.00 | 141 | ბასტია-ტრუა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 142 | მონაკო-ნიცა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 146 | გენიონი-კლერმონი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 147 | ისტრი-გრენობლი | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 23.00 | 148 | ლორიანი-შატორუ | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 23.00 | 149 | ნიორი-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1.11 | 1,3 | 1,8 |
| 23.00 | 150 | რეიმსი-ამიენი | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| 23.00 | 151 | სტ.ეტიენი-ვალანსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 152 | ვაკეალი-ბოვე | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXVII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 153 | მორეირენსე-ბოავიშტა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 01.15 | 154 | ფერეირა-ბენფიკა | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 155 | ვარზიმი-ბეირა მარი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 20.00 | 156 | ბრაგა-მარიტიმუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 157 | აკადემიკა-ნასიონალი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 21.00 | 158 | სანტა კლარა-ლეირია | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.15 | 159 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.30 | 160 | პორტუ-სეტუბალი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 161 | პორტუ-სეტუბალი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |

**7 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 162 | ბელენენსეში-ჟილ ვისენტე | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXVII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 164 | სალგეიროში-ალვერკა | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 165 | მადეირა-შავეში | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| 20.00 | 166 | ფარენსე-ნავალი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 20.00 | 167 | ამადორა-ავეში | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.00 | 168 | ლამაში-კოვილია | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 20.00 | 169 | პორტიმონენსე-მარკუ | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 20.00 | 170 | პენაფიელი-ლეცა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 21.00 | 171 | მაია-ოვარენსე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

### ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXVI ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 172 | ჰერენვენი-როდა | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 22.30 | 173 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 22.30 | 174 | აიაქსი-როზენდალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 175 | აიაქსი-როზენდალი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.00 | 176 | ვიტესი-გრონინგენი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 23.00 | 177 | ტვენტე-ბრედა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 178 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.30 | 179 | ტილბურგი-პსვ | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.30 | 180 | ზვოლე-უტრეხტი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 17.30 | 181 | ვალვაიკი-ალკმაარი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

### ჰოლანდია
### II დივიზიონი. XXVI ტური

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 191 | სპარტა-ჰაარლემი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXVIII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 192 | ლუვენ-სტანდარდი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 193 | ლოკერენი-მუსკრონი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 194 | ლოკერენი-მუსკრონი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 195 | ბევერენი-მეხელენი | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 23.00 | 196 | ვესტერლო-გენკი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 23.00 | 197 | ბრიუგე-მონსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 198 | ბრიუგე-მონსი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 199 | ბეერსხოტი-ანტვერპენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 18.00 | 200 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 201 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 202 | ლიერსი-ანდერლეხტი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1.41 | 1,27 | 1,38 |

### ბელგია. II დივიზიონი. XXII ტური

**5 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 204 | დენდერლეუ-ვარეგემი | 2.15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 21.00 | 205 | ვიზორი-ტუბიზი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 206 | გეელი-რონსე | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.00 | 207 | ეუპენი-დეხელი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1.04 | 1,2 | 2,46 |
| | 208 | ეუპენი-დეხელი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 209 | დაინცე-პატრო | 1,45 | 3.8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 210 | დაინცე-პატრო 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 211 | ჰეუსდენი-ვიმეტი | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 23.00 | 212 | ვირტონი-სერკლი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |

**6 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 213 | ლიეჟი-ინგელმუნსტერი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |

### საფრანგეთი. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.45 | 218 | [illegible] | 3.5 | 3.2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1.23 |
| 19.45 | 220 | [illegible] | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1.2 | 2,46 |
| | 221 | [illegible] 0:1 | 2.05 | 3.2 | 2.45 | | | |
| 22.00 | 215 | [illegible] | 1.15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 216 | [illegible] | 0:1 | 1.4 | 3.8 | 4.2 | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 217 | [illegible] | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.00 | 222 | [illegible] | 2.5 | 3,1 | 2,6 | 1.38 | 1.27 | 1,41 |
| 22.00 | 214 | [illegible] | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |

### ჩეხეთი. XXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 224 | [illegible] | 5.6 | 3,6 | 1.55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 227 | [illegible] | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.30 | 225 | [illegible] | 1,5 | 3.5 | 7,0 | 1.04 | 1.23 | 2,33 |
| 19.30 | 226 | [illegible] | 2.35 | 2.9 | 3.1 | 1,29 | 1.33 | 1.49 |
| 19.30 | 228 | [illegible] | 1,45 | 3.5 | 7.0 | 1.02 | 1.2 | 2.33 |
| | 229 | [illegible] 0:1 | 2,05 | 3.2 | 2,45 | | | |
| 19.30 | 230 | [illegible] | 1.2 | 5,3 | 12.5 | 1 | 1.09 | 3.72 |
| | 231 | [illegible] 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 19.30 | 232 | [illegible] | 1.9 | 3,2 | 3.8 | 1.19 | 1,26 | 1,73 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 233 | [illegible] | 2,15 | 3.0 | 3.4 | 1.25 | 1,31 | 1,59 |

### პოლონეთი. XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 235 | [illegible] | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1.38 | 1.27 | 1,41 |
| 19.00 | 234 | [illegible] | 3,3 | 3,1 | 2.15 | 1.59 | 1,3 | 1.26 |
| 22.00 | 236 | [illegible] | 1.4 | 3.8 | 8,0 | 1.02 | 1,19 | 2.57 |
| | 237 | [illegible] 0:1 | 1.95 | 3,2 | 2.6 | | | |
| 22.00 | 238 | [illegible] | 2.4 | 3,0 | 2,9 | 1.33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 239 | [illegible] | 1.9 | 3,2 | 3,8 | 1.19 | 1,26 | 1,73 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 240 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1,73 |

### თურქეთი. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 243 | [illegible] | 2,5 | 3,2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18.30 | 244 | [illegible] | 1.3 | 4,6 | 9.0 | 1.01 | 1,13 | 3,04 |
| | 245 | [illegible] 0:1 | 1.75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 246 | [illegible] | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 21.00 | 247 | [illegible] | 1,2 | 5.3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 248 | [illegible] 0:1 | 1,5 | 3.6 | 3,6 | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 249 | [illegible] | 2,05 | 3.1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1.64 |
| 16.30 | 250 | [illegible] | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1,17 | 1,26 | 1.77 |
| 16.30 | 251 | [illegible] | 1.8 | 3,3 | 4.0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| 19.00 | 252 | [illegible] | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1.13 |
| 21.00 | 253 | [illegible] | 4,0 | 3.2 | 1,85 | 1,77 | 1.26 | 1,17 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 254 | დანფერმლაინი-მაზერველი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1,09 | 1,22 | 2.1 |
| 19.00 | 255 | ჰარტსი-დანდი იუნაიტედი | 1,55 | 3,6 | 5.6 | 1,08 | 1.21 | 2.19 |
| 19.00 | 256 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 257 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2,2 | 3.2 | 3.1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 258 | რეინჯერსი-პარტიკი | 1,1 | 7.5 | 17.0 | 1 | 1.03 | 5.2 |
| | 259 | რეინჯერსი-პარტიკი 0:1 | 1.3 | 4.0 | 5.0 | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 260 | დანდი-სელტიკი | 9,0 | 4.6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 261 | ალოა-კლაიდი | 4,0 | 3,5 | 1,75 | 1,86 | 1,21 | 1.16 |
| 19.00 | 262 | [illegible] | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3.33 |
| | 263 | [illegible] 0:1 | 1.65 | 3,3 | 3.3 | | | |
| 19.00 | 264 | ინვერნესი-ქუინი | 1,65 | 3.6 | 4,6 | 1.13 | 1,21 | 2,01 |
| 19.00 | 265 | სტ.ჯონსტონი-ეირი | 1,45 | 4,0 | 6.5 | 1,06 | 1.18 | 2,47 |
| | 266 | სტ.ჯონსტონი-ეირი 0:1 | 2,05 | 3.2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 267 | სტ.მირენი-არბროათი | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 268 | სტ.მირენი-არბროათი 0.1 | 2.05 | 3,2 | 2.45 | | | |

### შოტლანდია. II დივიზიონი. XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 270 | [illegible] | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 271 | [illegible] | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1,74 | 1,22 | 1.19 |
| 19.00 | 272 | ფორფარი-დამბარტონი | 1,8 | 3.4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 19.00 | 273 | ჰამილტონი-სტენჰაუსმუირი | 2,0 | 3,5 | 3.2 | 1.27 | 1.23 | 1.67 |
| 19.00 | 274 | სტრანრაერი-ეირი | 2.2 | 3,4 | 2.9 | 1,33 | 1,25 | 1.56 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 275 | ალბიონი-მონტროზი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 276 | ისტ ფაიფი-ელგინი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | 277 | ისტ ფაიფი-ელგინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.00 | 278 | ისტ სტირლინგი-ქუინს პარკი | 3,1 | 3,5 | 2,05 | 1,64 | 1,23 | 1,29 |
| 19.00 | 279 | [illegible] | 2,7 | 3,3 | 2.35 | 1,48 | 1,25 | 1.37 |
| 19.00 | 280 | პიტერჰედი-გრეტნა | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1.18 | 2,47 |
| | 281 | პიტერჰედი-გრეტნა 0:1 | 2.05 | 3,2 | 2,45 | | | |

### დანია. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 282 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2.15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 283 | ესბიერგი-ორჰუსი | 2,0 | 3.3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1.67 |
| 18.00 | 284 | [illegible] | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1.19 | 1,28 | 1,7 |
| 18.00 | 285 | [illegible] | 2.45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 18.00 | 286 | [illegible] | 2.45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 20.35 | 287 | [illegible] | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1.28 | 1,26 | 1,62 |

### ავსტრია. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 288 | აუსტრია-ადმირა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 289 | აუსტრია-ადმირა 0:1 | 1.65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.30 | 290 | კერნტენი-ბრეგენცი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 291 | რიდი-შტურმი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 292 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 293 | გრაცერი-პაშინგი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 294 | [illegible] | 2.35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.30 | 295 | [illegible] | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 296 | [illegible] | 4.4 | 3,3 | 1.75 | 1,88 | 1,25 | 1.14 |
| 19.15 | 297 | [illegible] | 4,0 | 3.3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1.16 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 299 | [illegible] | 2,4 | 3,1 | 2.8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 17.30 | 300 | [illegible] | 2,5 | 3.2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1.4 |
| 19.15 | 301 | [illegible] | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1.57 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 302 | [illegible] | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.30 | 303 | [illegible] | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 304 | [illegible] | 1,75 | 3,3 | 4.4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |
| 17.30 | 305 | [illegible] | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |

### რუსეთი. III ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 306 | [illegible] | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1.25 | 2.03 |
| 17.00 | 307 | მეტალურგი-დინამო | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 308 | ალანია-როტორი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1.23 | 2.21 |
| 16.00 | 309 | კრილია-რუბინი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2.57 |
| 16.00 | 310 | ურალანი-სატურნი | 2,9 | 3.0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 16.00 | 311 | ზენიტი-როსტსელმაში | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2.43 |
| 16.00 | 312 | შინნიკი-ლოკომოტივი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1.73 | 1,26 | 1.19 |
| 17.00 | 313 | ცსკა-სპარტაკი | 1.7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1.95 |

### შვედეთი. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 317 | [illegible] | 2,3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1,28 | 1,52 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 318 | [illegible] | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1,03 | 1,17 | 2.6 |
| | 319 | [illegible] 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 320 | [illegible] | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 321 | ჰალმსტადი-სუნდსვალი | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |
| 22.00 | 322 | [illegible] | 1.9 | 3,3 | 3,6 | 1.2 | 1,24 | 1.72 |
| 22.00 | 323 | [illegible] | 1,55 | 3.6 | 5.6 | 1,08 | 1,21 | 2.19 |

### ჰოკეი. რუსეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 602 | [illegible] | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1.08 | 1,08 | 2,4 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 607 | [illegible] | 1,95 | 4,0 | 2,7 | 1.31 | 1.13 | 1.61 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 2009 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,8 | 2,15 | 3,3 | 1.21 | 1.51 | 1.3 |
| 18.30 | 2010 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4,8 | 2,2 | 2.15 | 1.5 | 1.48 | 1.08 |
| 18.30 | 2011 | [illegible] | 1.8 | 2.4 | 5.6 | 1.02 | 1.36 | 1.68 |
| 18.30 | 2012 | ჰამბურგი-არმინია | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1.04 | 1.41 | 1.63 |
| 18.30 | 2013 | ნიურნბერგი-შალკე | 3,2 | 2.1 | 3,0 | 1.26 | 1.54 | 1.23 |
| 18.30 | 2014 | [illegible] | 3.4 | 2,15 | 2,7 | 1,31 | 1.5 | 1.19 |
| 18.30 | 2015 | [illegible] | 3,1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 16.00 | 2016 | [illegible] | 2.6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1.54 | 1.33 |
| 16.30 | 2017 | მანჩესტერი-ლივერპული | 2.15 | 2.15 | 5,0 | 1.07 | 1.5 | 1.5 |
| 19.00 | 2018 | [illegible] | 4,8 | 2.15 | 2,2 | 1.48 | 1.5 | 1.08 |
| 19.00 | 2019 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,6 | 2.1 | 3,6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 19.00 | 2020 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.8 | 2.4 | 5.6 | 1.02 | 1.36 | 1.68 |
| 19.00 | 2021 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2.5 | 2.1 | 3.8 | 1.14 | 1.5 | 1.35 |
| 19.00 | 2022 | სანდერლენდი-ჩელსი | 5.0 | 2.15 | 2.15 | 1.5 | 1.5 | 1.07 |
| 19.00 | 2023 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2.15 | 2,15 | 5.0 | 1.07 | 1.5 | 1.5 |
| 21.00 | 2024 | იუვენტუსი-ტორინო | 1.55 | 2.9 | 7.5 | 1.01 | 1.28 | 2.09 |
| 23.30 | 2025 | პარმა-მილანი | 3.3 | 2.0 | 3.1 | 1.24 | 1.59 | 1.21 |
| 22.00 | 2026 | [illegible] | 1.3 | 4.0 | 9.0 | 1 | 1.13 | 2.76 |
| 23.30 | 2027 | ბეტისი-ვალენსია | 3.2 | 2.0 | 3.2 | 1.23 | 1.6 | 1.23 |
| 23.45 | 2028 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3.5 | 2.05 | 2.8 | 1.29 | 1.55 | 1.18 |
| 00.30 | 2029 | ესპანიოლი-სელტა | 2.9 | 2.0 | 3.5 | 1.18 | 1.58 | 1.27 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 2030 | ჰანსა-ვოლფსბურგი | 2.7 | 2.1 | 3.5 | 1.18 | 1.52 | 1.31 |
| 20.30 | 2031 | [illegible] | 2.2 | 2.15 | 4.8 | 1.08 | 1.5 | 1.48 |
| 20.00 | 2032 | [illegible] | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 18.00 | 2033 | ბრეშა-ატალანტა | 2.6 | 2.0 | 4.0 | 1.13 | 1.57 | 1.33 |
| 18.00 | 2034 | [illegible] | 2.5 | 2.0 | 4.2 | 1.11 | 1.56 | 1.35 |
| 18.00 | 2035 | ლაციო-კომო | 1.4 | 3.3 | 9.0 | 1 | 1.21 | 2.41 |
| 18.00 | 2036 | პერუჯა-ბოლონია | 2.45 | 2.0 | 4.4 | 1.1 | 1.57 | 1.37 |
| 18.00 | 2037 | პიაჩენცა-მოდენა | 2.9 | 2.0 | 3.5 | 1.18 | 1.58 | 1.27 |
| 18.00 | 2038 | რეჯინა-ემპოლი | 2.3 | 2.05 | 4.8 | 1.08 | 1.55 | 1.43 |
| 23.30 | 2039 | ინტერი-რომა | 2.2 | 2.1 | 5.0 | 1.07 | 1.52 | 1.47 |
| 20.00 | 2040 | [illegible] | 2.15 | 2.1 | 5.3 | 1.06 | 1.52 | 1.5 |
| 20.00 | 2041 | რასინგი-სევილია | 2.8 | 2.0 | 3.6 | 1.16 | 1.57 | 1.28 |
| 20.00 | 2042 | ალავესი-მალიორკა | 2.7 | 2.0 | 3.8 | 1.14 | 1.57 | 1.31 |
| 21.00 | 2043 | [illegible] | 2.8 | 2.0 | 3.6 | 1.16 | 1.57 | 1.28 |
| 21.00 | 2044 | ოსასუნა-მალაგა | 2.6 | 2.0 | 4.0 | 1.13 | 1.57 | 1.33 |
| 23.30 | 2045 | დეპორტივო-სოსიედადი | 2.3 | 2.05 | 4.8 | 1.08 | 1.55 | 1.43 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 2046 | [illegible] | 2.8 | 2.05 | 3.5 | 1.18 | 1.55 | 1.29 |

## ფორმულა 1. ბრაზილია. 6 აპრილი (12.00)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი -------- 1,8 | 4101 ------ 1,15 | 4201 --- 1,07 | 1,9 |
| ბარიკელო -------- 4,4 | 4102 ------ 1,45 | 4202 ----- 1,2 | 4,0 |
| რაიკონენი -------- 5,5 | 4103 ------ 1,55 | 4203 --- 1,25 | 6,0 |
| კულტჰარდი -------- 6,0 | 4104 ------- 1,7 | 4204 --- 1,25 | 8,0 |
| მონტოია ---------- 9,0 | 4105 ------- 2,2 | 4205 --- 1,25 | 3,0 |
| რ.შუმახერი ---- 10,0 | 4106 ------- 3,0 | 4206 --- 1,25 | 10,0 |
| ალონსო -------- 30,0 | 4107 ------- 5,0 | 4207 ----- 1,7 | 30,0 |
| ტრული --------- 30,0 | 4108 ------- 5,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ------ 15,0 | 4209 ----- 3,0 | 100,0 |
| ფრენცენი ------ 75,0 | 4110 ------ 20,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ---- 75,0 | 4111 ------ 20,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი -------- 75,0 | 4112 ------ 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,0 |
| უილიამსი | 6,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 30,0 |
| ბარ | 30,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| ჯორდანი | 60,0 |
| იაგუარი | 75,0 |
| მინარდი | 100,0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | |
| 18.30 | 2509 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2510 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2511 | დორტმუნდი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2512 | ჰამბურგი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2513 | ნიურნბერგი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2514 | კოტბუსი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2515 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 2516 | ბოლტონი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2517 | მანჩესტერი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2518 | ასტონ ვილა-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2519 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2520 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2521 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2522 | სანდერლენდი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2523 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2524 | იუვენტუსი-ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2525 | პარმა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2526 | რეალი-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2527 | ბეტისი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2528 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2529 | ესპანიოლი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **6 აპრილი** | | | |
| 20.30 | 2530 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2531 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2532 | ევერტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2533 | ბრეშა-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2534 | კიევო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2535 | ლაციო-კომო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2536 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2537 | პიაჩენცა-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2538 | რეჯინა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2539 | ინტერი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2540 | ვალიადოლიდი-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2541 | რასინგი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2542 | ალავესი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2543 | ბილბაო-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2544 | ოსასუნა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2545 | დეპორტივო-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 24.00 | 2546 | ფულემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2409 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2410 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2,6 | 1,5 |
| 18.30 | 2411 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2412 | ჰამბურგი-არმინია | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 2413 | ნიურნბერგი-შალკე | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 2414 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 18.30 | 2415 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,9 |
| 16.00 | 2416 | ბოლტონი-სიტი | 1,75 | 2,1 |
| 16.30 | 2417 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2418 | ასტონ ვილა-არსენალი | 2,5 | 1,55 |
| 19.00 | 2419 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2420 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 2421 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2422 | სანდერლენდი-ჩელსი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2423 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,5 | 2,6 |
| 21.00 | 2424 | იუვენტუსი-ტორინო | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 2425 | პარმა-მილანი | 1,95 | 1,85 |
| 22.00 | 2426 | რეალი-რაიო | 1,1 | 5,0 |
| 23.30 | 2427 | ბეტისი-ვალენსია | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2428 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| 00.30 | 2429 | ესპანიოლი-სელტა | 1,85 | 1,95 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2430 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 2431 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2432 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2433 | ბრეშა-ატალანტა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2434 | კიევო-უდინეზე | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2435 | ლაციო-კომო | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 2436 | პერუჯა-ბოლონია | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2437 | პიაჩენცა-მოდენა | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 2438 | რეჯინა-ემპოლი | 1,65 | 2,3 |
| 23.30 | 2439 | ინტერი-რომა | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2440 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2441 | რასინგი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2442 | ალავესი-მალიორკა | 1,75 | 2,1 |
| 21.00 | 2443 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2444 | ოსასუნა-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 23.30 | 2445 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,65 | 2,3 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2446 | ფულემი-ბლექბერნი | 1,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2209 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2210 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2211 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2212 | ჰამბურგი-არმინია | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2213 | ნიურნბერგი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2214 | კოტბუსი-შტუტგარტი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2215 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 16.00 | 2216 | ბოლტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 16.30 | 2217 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2218 | ასტონ ვილა-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2219 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2222 | სანდერლენდი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2223 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2224 | იუვენტუსი-ტორინო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2225 | პარმა-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2226 | რეალი-რაიო | 2,3 | 1,45 |
| 23.30 | 2227 | ბეტისი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2228 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2229 | ესპანიოლი-სელტა | 1,8 | 1.8 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2230 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2231 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 20.00 | 2232 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2233 | ბრეშა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2234 | კიევო-უდინეზე | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2235 | ლაციო-კომო | 2,1 | 1,55 |
| 18.00 | 2236 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2237 | პიაჩენცა-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2238 | რეჯინა-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2239 | ინტერი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2240 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2241 | რასინგი-სევილია | 1,8 | 1.8 |
| 20.00 | 2242 | ალავესი-მალიორკა | 1,8 | 1.8 |
| 21.00 | 2243 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2244 | ოსასუნა-მალაგა | 1,8 | 1.8 |
| 23.30 | 2245 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2246 | ფულემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2309 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2310 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1,7 | 1.9 |
| 18.30 | 2311 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2312 | ჰამბურგი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2313 | ნიურნბერგი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2314 | კოტბუსი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2315 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 16.00 | 2316 | ბოლტონი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 16.30 | 2317 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | ასტონ ვილა-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2320 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2321 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2322 | სანდერლენდი-ჩელსი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2323 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2324 | იუვენტუსი-ტორინო | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2325 | პარმა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2326 | რეალი-რაიო | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2327 | ბეტისი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2328 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2329 | ესპანიოლი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2330 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2331 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2332 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2333 | ბრეშა-ატალანტა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2334 | კიევო-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2335 | ლაციო-კომო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2336 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2337 | პიაჩენცა-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2338 | რეჯინა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2339 | ინტერი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2340 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2341 | რასინგი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2342 | ალავესი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2343 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2344 | ოსასუნა-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2345 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2346 | ფულემი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2109 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2110 | ჰანოვერი-ბაიერნი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.30 | 2111 | დორტმუნდი-ვერდერი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2112 | ჰამბურგი-არმინია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2113 | ნიურნბერგი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 2114 | კოტბუსი-შტუტგარტი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2115 | ბოხუმი-კ.ლაუტერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.00 | 2116 | ბოლტონი-სიტი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 16.30 | 2117 | მანჩესტერი-ლივერპ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 2118 | ასტონ ვილა-არსენალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 2119 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 2120 | მიდლსბრო-ვ.ბრომვიჩი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2121 | საუთჰემპტონი-ვ.ჰემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2122 | სანდერლენდი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 2123 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 2124 | იუვენტუსი-ტორინო | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2125 | პარმა-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.00 | 2126 | რეალი-რაიო | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,4 | 6,5 | 25,0 | 40,0 | 25,0 | 25,0 |
| 23.30 | 2127 | ბეტისი-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 2128 | ვილიარ.-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 00.30 | 2129 | ესპანიოლი-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2130 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.30 | 2131 | მიუნხენი-მ.გლადბახი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2132 | ევერტონი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2133 | ბრეშა-ატალანტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2134 | კიევო-უდინეზე | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2135 | ლაციო-კომო | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 2136 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2137 | პიაჩენცა-მოდენა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2138 | რეჯინა-ემპოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2139 | ინტერი-რომა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 2140 | ვალიადოლიდი-უელვა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 2141 | რასინგი-სევილია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 2142 | ალავესი-მალიორკა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 2143 | ბილბაო-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 2144 | ოსასუნა-მალაგა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.30 | 2145 | დეპორტივო-სოსიედადი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2146 | ფულემი-ბლექბერნი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

05.04 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXVII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 16.00 2602 ინგლისი პლ. (XXXII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 21.00 2603 იტალია "A" (XXVII ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.00 2604 ესპანეთი Iლ. (XXVIII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 20.15 2605 საფრანგეთი Iლ. (XXXII ტური) 22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
05.04 22.15 2606 პორტუგალია Iლ.(XXVII ტური)23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.30 2607 ჰოლანდია Iლ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 18.30 2608 თურქეთი (XXVI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანს კალათბურთი კენწეროში მეწარა

3 აპრილი

**დალასი 89:100 ლეიკერსი**
**დალასი: ნეში (26), ნოვიცკი (25 ქულა, 22 მოხსნა), ვან ექსელი (19)**
**ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 17 მოხსნა), ბრაიანტი (19), ფიშერი (18)**

**პორტლენდი 88:93 იუტა**
**პორტლენდი: ვოლესი (23)**
**იუტა: მელოუნი (21), ჰარპრინგი (17), სტოქტონი (15 ქულა, 10 პასი)**

**ატლანტა 91:89 ვაშინგტონი**
**ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (24), ტერი (18 ქულა, 10 მოხსნა), გლოვერი 17)**
**ვაშინგტონი: ჯორდანი (22 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), სტეკჰაუზი (15)**

ორიოდ თამაშიც და მაიკლ ჯორდანი მესამედ გამოეთხოვება კალათბურთს. ახლა მისი უდიდებულესობა კალათბურთის მონარქი 40 წლისა გახლავთ და მომავალში ალბათ, აღარ მოეხასიათება კალათის და ბურთის სამყაროში მოთამაშედ დაბრუნება. ჰოდა, რაკი ჯორდანი კალათბურთის გურმანია, იმასაც ცდილობს, ბოლომდე შეიგრძნოს ამ თამაშის გემო და დარჩენილ ბურთაობებს დიდის მონდომებით ეწაფება.

ჯორდანის დარჩენილი თამაშები კი ზუსტად დათვლილია. მას შვიდი მატჩი აკლია პენსიონერობამდე. თითქმის საბოლოოდ გადაწყდა, ჯორდანის „ვაშინგტონი" ვერ მოხვდება პლეი ოფში. ეს შვიდი თამაში კი რეგულარული ჩემპიონატის ნარჩენებიაა.

მაიკლმა „ატლანტასთან" შეხვედრაც ახალგაზრდული აღტკინებით ჩაატარა, მოაგროვა 22 ქულა, სეზონში უბევრესი 14 მოხსნა და შვიდიც პასი, თუმც გუნება მაინც წაუხდებოდა, რაკი ატლანტელმა შარიფ აბდურ-რაჰიმმა ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და „ვაშინგტონს" გამარჯვება წაჰგლიჯა. ამ მარცხის შემდეგ ჯორდანიანთა საპლეიოფო იმედები შესამჩნევად გახუნდა. სადღეისოდ „ვაშინგტონი" აღმოსავლურ კლასიფიკაციაში მყარ მე-9 ადგილზეა და სამი გამარჯვებით ჩამორჩება „მილუოკს", ვისაც ეს ბოლო კვირები თურმე ამაოდ ეცილებოდა პლეი ოფის ბოლო საგზურს.

ჰნებები დუღს და ნერვები ტოკავენ დასავლეთშიც, სადაც აგრეთვე ბევრი დარჩა გასარკვევი. დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ მე-7 ნომრად განოესვას და პლეი ოფის პირველ წრეში უძლიერეს „საკრამენტოსთან" შეჯახებას უქადის ჩემპიონ „ლეიკერსს". ერთი-ორი სავეხურით წინსვლა შედარებით იოლ მეტოქეს დააჯახებს, ჰოდა, ლოსანჯელესელებიც, რომლებიც შაკილ ონილის შვიდსეზონიან ეპოქაში ასე ქვემოთ პირველად დაჩოჩდნენ, გამწარებით იბრძვიან ზევით. გუშინწინ მათ თვით „დალასი" შემოეძარცხათ.

თუმცა „დალასის" ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ ნამატჩევს ბრძანა, ურიგოდ არ გვითამაშიაო, ნამდვილად ვერ შევაქებთ მის უძვლო გუნდს. „დალასი" წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის 5-თვიანი მარათონის უცვლელი ლიდერია და შესაძლოა, ლიდერადაც დარჩეს, მაგრამ რაკი პრინციპულ თამაშებში მარცხების ოდენობა მაქსიმუმამდე გაუზრდია, ვერ განგვაწყობს მისადმი სიმპათიურად. კი, ბატონო, ნოვიცკიმ შესანიშნავად იბურთავა, მაგრამ ამით მის გუნდს რა ხეირი? მით უმეტეს, რომ ტეხასელები სწორედ გუნდური თამაშით განთქმულან.

მატჩი საკმარდ ნერვიულად დაიწყო, პირველ წამებშივე ნოვიცკიმ და შაკილ ონილმა ერთმანეთს ცხვირები მიახალეს, ხოლო რამდენიმე წუთში სასრიალად ჰაერში შემართულ კობი ბრაიანტს დალასელმა რიფ ლაფრენცმა ხელებიდან ბურთი ააცილა და თან, მგონი, კანის ნაგლეჯიც ააყოლა. მოგვიანებით გარღვევაზე წასულმა შაკილმა მის წინ აღმართული ნოვიცკი ვიდეოოპერატორებს გადაამხო თავზე. ნოვიცკი მსწრაფლ წამოიჭრა, მსაჯს მიეჭრა და ლეიკერსელის დაჯარიმება მოსთხოვა. მსაჯმა გერმანელს ყურიც არ ათხოვა და მოედანზე გამოჩნდა „დალასის" მწვრთნელი, არბიტრებთან ჩხუბიანი დამოკიდებულობით განთქმული დონ ნელსონი და დასაშვებზე ხმამაღალი ხმით სცადა მსაჯის გადარწმუნება. ნელსონის ამალამ შეფი მოედანს გამოარიდა, ხოლო მსაჯებმა, რა გასაკვირია, საერთოდ დარბაზიდან მიაბრძანეს გადარეული ძიაკაცი.

მერე ყველაფერი ჩაწყნარდა და თამაშიც გაგრძელდა, მხოლოდ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. აქ ლეიკერსს მეტი სიმტკიცე აღმოაჩნდა და მერყევი და მყიფე „დალასი" იოლად გატეხა.

„დღეს ჩვენ ხასიათის სიმტკიცე გამოვავლინეთ" — ამბობდა ნამატჩევს შაკილ ონილი. საზოგადოდ შაკს უყვარს ბაქიბუქი და გულ-მკერდის გაბერვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცამდე მართალია. ლეიკერსისთან მტკიცე ხასიათით „დალასი" უძლეველი შეიქმნებოდა.

დღის მესამე შეხვედრაში სტუმრად პორტლენდში იმარჯვა „ლეიკერსის" ზედა მეზობელმა „იუტა ჯაზმა" და შეინარჩუნა დასავლეთში მეექვსე პოზიცია. „პორტლენდი" უქეიფოდ გამოიყურებოდა და მისი მარცხი არავის გაჰკვირვებია. ეს ბოლო ხანებია, ამ გუნდს შინააშლილობა და სკანდალები არყევს და იქ ალბათ კარგა ხნით არ დაისადგურებს მყუდრო, სათამაშო აურა, რაკი გუნდის მოთამაშეთა სრული უმრავლესობა შარში გახვევის მიდრეკილებას ამჟღავნებს. შლეგ რაშიდ ვოლესზე ახალი რა ვთქვათ... ახალბედა ქუინტელ ვუდსმა შინ თავისიანები გალახა და მერე პოლიციამ მანქანის გიჟურად ქროლვისთვის დააკავა, დეიმონ სტუდემაიერი პლანს ეწევა, ხოლო ზაჩ რენდოლფი თანაგუნდელებს სცემს. ამ უკანასკნელის ამბავი სულ ცხელ-ცხელია. გუშინწინ დილის ვარჯიშზე რენდოლფმა სახეში მუშტი ატაკა თანაგუნდელ რუბენ პატერსონს და კლუბმა ის ორი თამაშის გამოტოვებით და ხელფასიდან 100 ათასი დოლარის დაქვითვით დასაჯა.

„იუტასთან" „პორტლენდს" რენდოლფთან ერთად ფაქტობრივად ნაგვემი რუბენ პატერსონიც აკლდა და თამაშის სურვილიც. პატერსონი კი გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ თანაგუნდელის მუშტისგან თვალი ისე ჩალურჯებოდა, რომ ვერც ახელდა. მან 10 წუთი უმიზნოდ იბოდიალა მოედანზე და თამაში 0 ქულით დაასრულა.

**კოტე ყორშია**



**მაიკლ ჯორდანს კარიერის დასრულება სურვილისამებრ ვერ გამოსდის**



REUTERS

**ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა „დალასის" საჰაერო სივრცე გაჰკვეთა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 47 | 27 | 63,5 |
| ნიუ ჯერსი | 46 | 29 | 61,3 |
| ფილადელფია | 45 | 29 | 60,8 |
| ინდიანა | 44 | 31 | 58,7 |
| ნიუ ორლეანი | 42 | 34 | 55,3 |
| ბოსტონი | 41 | 34 | 54,7 |
| ორლანდო | 39 | 36 | 52,0 |
| მილუოკი | 37 | 39 | 48,7 |
| ვაშინგტონი | 34 | 41 | 45,3 |
| ნიუ იორკი | 33 | 42 | 44,0 |
| ატლანტა | 30 | 45 | 40,0 |
| ჩიკაგო | 26 | 50 | 34,2 |
| ტორონტო | 24 | 50 | 32,4 |
| მაიამი | 23 | 53 | 30,3 |
| კლივლენდი | 14 | 60 | 18,9 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 56 | 19 | 74,7 |
| საკრამენტო | 54 | 22 | 71,1 |
| სან ანტონიო | 55 | 20 | 73,3 |
| პორტლენდი | 46 | 28 | 62,2 |
| მინესოტა | 47 | 29 | 61,8 |
| იუტა | 45 | 30 | 60,0 |
| ლეიკერსი | 44 | 31 | 58,7 |
| ფინიქსი | 39 | 35 | 52,7 |
| ჰიუსტონი | 38 | 37 | 50,7 |
| სიეტლი | 36 | 38 | 48,6 |
| გოლდენ სტეიტი | 36 | 39 | 48,0 |
| მემფისი | 26 | 49 | 34,7 |
| კლიპერსი | 23 | 51 | 31,1 |
| დენვერი | 17 | 59 | 22,4 |

*შრიფტით აღნიშნული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

*ცოტაც და, ევროპის ქვეყნებში რეგულარული ჩემპიონატები დასრულდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრ კონტინენტზე მოთამაშე ის ქართველები, რომელთა კლუბებიც პლეი ოფში ვერ გავლენ, საქართველოში დაბრუნდებიან. აქ კი მათ ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი დახვდებათ. ისე, ხორვატ მწვრთნელს ალბათ გაუგრძელდება ლოდინი, რაკი ქართველ ლეგიონერთა კლუბები წარმატებით იბრძვიან თავთავიანთ ჩემპიონატებში. მაგრამ არის გამონაკლისიც, დავით ბერძენიშვილის „თედ კოლეჯი" თურქულ ლიგაში დასარჩენად იჯაფება და სულ მალე „ბერძენა" ალბათ ბრაიკოვიჩსაც გაიცნობს. გუშინ ბერძენიშვილს ანკარაში შევეხმიანეთ და თავდაპირველად „თედ კოლეჯის" ამბებზე დავეკითხეთ...*

# ამერიკელ კალათბურთელებს ამერიკული ბომბების ეშინიათ

## ბერძენიშვილი თურქეთში დასარჩენად იბრძვის

— სამი ტურიც და ჩემი გუნდისთვის ჩემპიონატი დასრულდება. შესაძლებელია, თურქეთის უმაღლესი ლიგიდანაც გავვარდეთ. ახლა ბოლო ადგილზე ვართ და დარჩენილ 3 მატჩში მინიმუმ ორი მოგება გვჭირდება.

**— რატომ გაიხადეთ გასავარდნად საქმე? „თედ კოლეჯს" ურიგოდ არ დაუწყია სეზონი, ლეგიონერებიც ხომ საკმარისად გყავთ...**

— მე კალათბურთელი ვარ და ამიტომ ყველაფერს მწვრთნელს ვერ გადავაბრალებ. არადა, უფროსობა სწორედ გუნდის თავკაცს აღანაშაულებს, რომელიც დაახლოებით თვენახევრის წინ გაუშვეს.

**— უკრაინელ ვიქტორ ბერეჟნოიზე ამბობ?**

— არა, ბერეჟნოი სეზონის დაწყებიდან მალევე წავიდა. უკრაინელის შემდეგ თურქი მწვრთნელი დაგვინიშნეს, რომელმაც ყველაფერი აურ-დაურია. სწორედ მის ხელში დაიძირა „თედ კოლეჯი" და ახლა მისი წახდენილი საქმის გამოსწორება ახალ მწვრთნელს უხდება.

**— ესე იგი, ახალი თავკაცით კმაყოფილი ხარ...**

— კი, ესეც თურქია, თუმც ყველას სჯობს. კალათბურთელებს ჩვენი ადგილი მოგვიჩინა, რამდენიმე თამაშიც მოვიგეთ. „თედ კოლეჯის" უფროსობა თავში ხელს ირტყამს, აქამდე გაგვეშვა ის მწვრთნელი და ეს კაცი მოგვეყვანაო.

**— პირველი წრის შემდეგ თითქოს ისე იყო საქმე, რომ „თედ კოლეჯს" ლეგიონერები უნდა დაეთხოვა. ბათუმის „ბასკოში" შენს დაბრუნებასაც აღარაფერი ედგა წინ, მაგრამ...**

— „ბასკოს" რომ არ დავუბრუნდი, ალბათ ჩემი შეცდომა იყო. თურქეთში პირველი წრის დასრულებას ორი ტური აკლდა, როცა საქართველოში იმ პირობით გამომიშვეს, რომ გათავისუფლების ფურცელს თავად კლუბი გამოუგზავნიდა „ბასკოსაც" და საქართველოს კალათბურთის ფედერაციასაც. თურქებმა სიტყვა გატეხეს, ბათუმში ჩასულს შემომითვალეს, კლუბში ახალი მწვრთნელი მოვიყვანეთ, რომელსაც შენი გაშვება არ სურსო.

**— ძველს რა, არ უნდოდი?**

— არა, არ მათამაშებდა და თავად მე მინდოდა გუნდიდან წასვლა. 1-2 წუთით შემყავდი მოედანზე, არ ვიცი, რატომ ამოთვალწუნა, ამის საბაბი ნამდვილად არ მიმიცია. ჰოდა, კლუბის პრეზიდენტთან მივედი, რა აზრი აქვს იმ ლეგიონერის გუნდში ყოლას, რომელსაც არ ათამაშებენ-მეთქი და ისიც დამეთანხმა. ჩემი შეცდომა კი ის იყო, რომ დარჩენილი ორი ტურიც უნდა ჩამეთავრებინა და გათავისუფლების ფურცელიც ჩემი ხელით წამომეღო ბათუმში.

**— ახალი მწვრთნელი თუ გენდობა, მაშინ ალბათ გერჩივნა თურქეთში დარჩენა.**

— კი, მაგრამ თუ „ბასკოში" გადმოვიდოდი, არც ეს იქნებოდა ურიგო. ახლა საკმაოდ ბევრს ვთამაშობ, „თედ კოლეჯის" ძირითად ცენტრად ვითვლები.

**— თუ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეთ, დარჩები გუნდში, თუ სხვა კლუბზე გიჭირავს თვალი?**

— ვარიანტები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ წინასწარ არ მინდა ლაპარაკი. დარჩენილ მატჩებში „ფენერბაჩეს", „ქარშიაქასა" და „გალათასარაის" ვეთამაშებით, ესენი არ არიან ძლიერი გუნდები და იმედი მაქვს, მოვახერხებთ უმაღლეს ლიგაში დარჩენას.



**— რატომ, „ქარშიაქა" საკმაოდ სოლიდურ გუნდად ითვლება თურქეთში...**

— ითვლებოდა, მაგრამ რაც ერაყში ომი ატყდა, „ქარშიაქას" ამერიკელი ლეგიონერები სამშობლოში გაქრნენ.

**— ამერიკელები თქვენც გყავთ, ასევე სხვა თურქულ კლუბებსაც, მათ არ შეეშინდათ ომის?**

— ჩვენც გამოგვაკლდა ერთი ამერიკელი, დონალდ ლიტელი, თუმც ხელმძღვანელობა ისედაც აპირებდა მის გაშვებას. რაც შეეხება სხვა კლუბების ამერიკელებს, ისინიც აპირებდნენ წასვლას. ამას წინათ, „ულქერს" რომ შევხვდით, ზაზა ფაჩულიამ მითხრა, ჯოზეფ ბლეარი და მელვინ ბუკერი გუშინ ვარჯიშზე არ მოსულან, ამერიკაში აპირებენ წასვლასო, მაგრამ „ულქერის" უფროსობას დაუყოლიებია ეს კალათბურთელები.

**— „ულქერთან" მატჩში ალბათ ფაჩულიას წინააღმდეგ მოგიწია თამაშმა...**

— ვითამაშეთ და ორივემ 11-11 ქულა ჩავაგდეთ. ჯარიმებიც თანაბრად დაგვიგროვდა, 5 პერსონალურით მოედნიდან ჯერ ზაზა გავარდა, სამ წუთში კი მეც უკან მივყევი. მატჩი კი, „ულქერმა" მოიგო.

**— გეცოდინება, რომ საქართველოს ნაკრებს ხორვატი მწვრთნელი დაუნიშნეს...**

— როგორ არა, დრაჟენ ბრაიკოვიჩი ალბათ კარგი სპეციალისტი იქნება. აქ ზოგიერთს დავეკითხე მის შესახებ და ვინც იცნობდა, ყველამ დადებითად დაახასიათა. ჩვენს ნაკრებს არც მოთამაშეები ჰყავს ურიგო, ეგაა, შეწყობილად ვერ თამაშობდა. ღმერთმა ქნას, ბრაიკოვიჩმა გუნდის შეკვრა მოახერხოს და ევებ ჩვენც ვთქვათ ჩვენი სიტყვა ევროპაში.

**ირაკლი პერტაია**

*ამ კვირას ტემზაზე მორიგი საუნივერსიტეტო ნიჩბოსნობა ჩაიდგაფუნებს. ოქსფორდისა და კემბრიჯის ნავთა კაპიტნები მშვიდად არიან და ამბობენ, რომ მილიონობით მაყურებლის თვალწინ მარცხი არად ულირთ. მთავარია, შვიდი თვის განმავლობაში საამბოლოდ ნავარჯიშები სხეულები ბოლომდე გაიქაფოს და ქომაგებიც კაცურად გაერთონ.*

# ოქსბრიჯული ჯახი

## გონიერები და ღონიერები ტემზას 149-ედ ააქაფებენ

„ამ მომენტისთვის არავინ ნერვიულობს — ამბობს ოქსფორდელთა ყოჩი მეტიუ სმიტი — მაგრამ რბოლა რაც უფრო მოახლოვდება, დაძაბულობა მით უფრო იმატებს."

„თავს საკმაოდ მშვიდად ვგრძნობ — ეპასუხება სმიტს კემბრიჯელთა ვეტერანი კაპიტანი ტიმ ვუგი — ჩვენ მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთით მოსაგებად."

მატიანე გვამცნობს, რომ აქამომდელ 148 რბოლაში 77-ჯერ კემბრიჯმა იმარჯვა, 70-ჯერ — ოქსფორდმა, ხოლო ერთხელ ნავებმა ფინიშის ხაზი ერთდროულად გაჰკვეთეს.

ძალზედ დრამატული გამოდგა შარშანდელი რბოლა, რომელიც კემბრიჯელებმა მხოლოდ უკანასკნელ მონაკვეთზე დათმეს.

წლეულს ოქსფორდმა უნდა დაამტკიცოს, რომ შარშანდელი გამარჯვება შემთხვევითობა არ იყო, ხოლო კემბრიჯი ეცდება, უკანასკნელ ათ რბოლაში მოხვეჭილ რვა გამარჯვებას კიდევ ერთიც მიამატოს.

კემბრიჯელთა ყოჩს ტიმ ვუგს აქამდე ერთი მარცხიც არ განუცდია. ეს ორმეტრიანი და 100-კილოგრამიანი ბუმბერაზი ერთადერთი კემბრიჯელია, ვინაც ზემოთხსენებული რბოლებიდან მხოლოდ მოგებულებში ინიჩბოსნა.

მასთან ერთად ხვალ ასევე გამოცდილი ბიჭები გაირჯებიან, ყველაზე ახალგაზრდა კემბრიჯელი კი უელსელი ტომას ჯეიმსია, რომელიც ჯერაც 19 წლის არის.

მათთან შედარებით ოქსფორდელები უფრო გამოუცდელები და მსუბუქები არიან. ერთი საშუალო ოქსფორდელი ერთ საშუალო კემბრიჯელზე 7 კილოგრამით ნაკლებია, ხოლო — სტატისტიკის თანახმად — უკანასკნელი ათი რბოლიდან ექვსში სწორედ უფრო „მძიმე" გუნდმა იმარჯვა.

თუკი ამ არასახარბიელო სტატისტიკის მიუხედავად ოქსფორდელები მაინც იპირველებენ, ეს ისტორიული გამარჯვება იქნება, რაკილა ასეთ მსუბუქ ეკიპაჟს ასეთი მძიმისთვის ჯერ არასოდეს მიუგია.

ოქსფორდელთა კაპიტანი სმიტი, ვისთვისაც ეს რბოლა მეოთხე იქნება, თვლის, რომ მის გუნდს არაფრის ეშინია: „წლეულს ჩვენ ფანტასტიკური გუნდური სული გვაქვს... არა მგონია, ნაკლები წონა დიდი პრობლემა იყოს."

მომავალ რბოლას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ის გარემოება, რომ მოდავე ნავებში ძმები — ჯეიმს და დევიდ ლივინგსტონები ისხდებიან.

ასეთი რამ უკანასკნელად 1900 წელს მომხდარა. მაშინ ეთერინგტონ-სმიტებიგან უფროს ძმას — კემბრიჯელ რეიმონდს უმარჯვია და — როგორც სტატისტიკა გვახსენებს — ოქსფორდი ასეთი დიდი სხვაობით არასოდეს დამარცხებულა.

ოქსფორდელი დევიდ ლივინგსტონი იმედოვნებს, რომ შიდაძმურ შეხლაში ამჯერად ოქსფორდი იმარჯვებს.

ძმები რბოლამდე ცალ-ცალკე იქნებიან, რათა რბოლისას ერთმანეთში უფრო მეტოქეები დაინახონ, ვიდრე დედმამიშვილები.

ამბობენ, ხვალ ლონდონში მზიანი დარი იდგება და ლაღი ნიავიც დაუბერავსო. ნიჩბოსნობის მაცქერალთათვის კი ეს დასტურ იდეალური დარია.

ვინძლო — თავად მენიჩბეებისთვისაც.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ლონდონიდან

მეტ სმიტი და ტიმ ვუგი ხვალ ამ თასისთვის გაცურვაში ოქსფორდის და კემბრიჯის რჩეულ მენიჩბეებს უმეთაურებენ

ზღვაოსნობა

# ძუ ზღვის მგელი ისევ აიჯაგრა

**იქნებ გსმენიათ** ელენ მაკარტურის შესახებ, ჩვენს გაზეთში მასზე არაერთხელ დაწერილა. ამ ბრიტანელ გოგონას კენტად ზღვაოსნობაში გაუთქვამს სახელი, დაღებია დაფაზე, ჩაჭიდება ხელ აღმართულ მანიაფრას და ასე კაკლის ნაჭუჭით, თან მარტოდმარტო დაეხეტება მსოფლიოს ოკეანის მღელვარე უდაბნოში. მარტოს შემოუცურია ჩვენი პლანეტისთვის. ოკეანე მრისხანეა და გაუმაძღარი, ბევრი გამოცდილი ზღვაოსანი ჩაუყლაპავს, მაგრამ 27 წლის თამამ გოგოს შემართებისთვის ჯერ ვერაფერი დაუკლია.

ელენ მაკარტური, მეტწილად ეულად თან ერთკორპუსიანი ნავით ებრძვის ზვირთებს და მრავალი რეკორდიც დაუმყარებია. მას არასდროს ელევა გეგმები. აი, რამდენიმე დღის წინათაც პრესკონფერენცია მოაწყო და მის საგმირო-სარეკორდო გაცურვებს დახარბებულ ჟურნალისტებს აუწყა, აწი მრავალკორპუსიანი იახტითაც მსურს ტალღებთან შეთამაშებაო. მან ავსტრალიის ერთ-ერთ სახელოსნოში შეუკვეთა 22-მეტრიანი ტრიმარანი (სამკორპუსიანი ნავი), რომლითაც ატლანტიკის ოკეანის გადასერას გეგმავს ერთკაცა ეკიპაჟისთვის სარეკორდო დროში. მას აგრეთვე სურს ერთი ზღვაოსნით მართული ნავით 24 საათიანი ცურვის მსოფლიო რეკორდი დაამყაროს.

„ეს პროექტია, რომელიც თავში 2001 წელს დამებადა. ყველაფერი დეტალებამდეა გათვლილი. ტრიმარანი დააპროექტა ნაიჯელ ირენმა და მისი მშენებლობა ავსტრალიაში, რამდენიმე კვირაში დაიწყება. მე რამდენჯერმე ჩავაკითხავ და სამუშაოებს დავხედავ. ნავს, ასე ლეკემბრისთვის გამოვცდი, გაცურვით კი მომავალ წელს გავცურავ" — ომახიით აცხადებს ელენ მაკარტური.

ზურგის ქარი ვუსურვოთ ამ ყოჩაღ გოგოს.





ელენ მაკარტურისთვის ოკეანესთან მარტოდმარტო შებმა სიამოვნებაა



# F1

**მესამე ეტაპი** **ბრაზილიის დიდი პრიზი**

## ინტერლაგუში

*სან პაულუ, 6 აპრილი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------- **4.309 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------- **71 წრე — 305.909 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 22 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**: 1 მ.შუმახერი (ფერარი) 2 რ. შუმახერი (უილიამსი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბატონი (რენო); 5 მონტოია (უილიამსი); 6 სალო (ტოიოტა)

**წრის რეკორდი**: 2002 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:14.755 (207,5კმ/სთ)

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონ, „ჯადოქარ" აირტონ სენასა და შარშანდელი ვერცხლის პრიზიორის რუბენს ბარიკელოს მშობლიური სან პაულუს ტრასა ერთ-ერთი ურთულესია ფორმულა 1-ის კალენდარში. „ინტერლაგუშზე" ყველაფერი ცუდი ერთადაა თავმოყრილი: აუტანელი სიცხე, აღმართ-დაღმართიანი და უსწორმასწორო ასფალტი. უმთავრესი კი ისაა, რომ რბოლა ტარდება ევროპული წეს-ნორმების საპირისპირო, ანუ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც პილოტებს დამატებით საწვალებელს უქმნის.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ეტაპის ტრიუმფატორთა სიაში, როგორც ქვემორე ცხრილიდან ჩანს, ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები დომინირებენ: ოთხგზის ჩემპიონმა „პროფესორმა" პროსტმა ბრაზილიიდან შინ ექვსი დიდი პრიზი წაიღო, ხოლო ხუთგზის მეტიტულე. სან პაულუში 11-ჯერ გაჯირითებულმა შუმახერმა მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლო პოდიუმზე შედგომა. მრავალტიტულიან მასპინძელთა მონაგარი კი გაცილებით მოკრძალებულია.

რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, საწყისი ორივე ეტაპის მოუგებლობის მიუხედავად, ფავორიტებად მაინც „ფერარი" და მისი პრემიერი, „წითელი ბარონი" მიხაელ შუმახერი რჩებიან. რა თქმა უნდა, ხვალ არც მეორე სკუდერიელ ბარიკელოს წარმატებაა გამორიცხული, ვის საქომაგოდაც კარლოს პასეს სახელობის ავტოდრომის ტრიბუნები გადამწვან-გადაწითლდება.

ცხადია, ზედიზედ მესამე გამარჯვებისთვის გაიბრძოლებენ „მაკლარენ-მერსედესის" პილოტები — დევიდ კულჰარდი და კიმი რაიკონენი. სიურპრიზი „უილიამსის" რალფ შუმახერისა და ხუან პაბლო მონტოიას დუეტისგანაცაა მოსალოდნელი.

ბოლოს კი იმაზე, რომ „რენოს" 28 წლის იტალიელი მრბოლი იარნო ტრული ხვალ მეასედ გავა სტარტზე, ირლანდიელი ელი ჯორდანის გუნდისთვის მე-200 რბოლა იქნება. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ეს ეტაპი „სამეფო რბოლების" 54-წლიან ისტორიაში საიუბილეო, მე-700 იქნება.


REUTERS სან პაულუდან

დევიდ კულჰარდი მოგებას ბრაზილიაშიც აპირებს

## ბრაზილიური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 6 | 7 | 62 | 2 | 13 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 4 | 10 | 70 | 1 | 11 |
| კარლოს რუტმანი | არგენტინა | 3 | 4 | 40 | — | 10 |
| ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 2 | 4 | 33 | 2 | 12 |
| ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 2 | 4 | 33 | 1 | 8 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 2 | 4 | 32 | 1 | 13 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 2 | 4 | 30 | 6 | 11 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 2 | 2 | 29 | 3 | 10 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | 1 | 4 | 26 | — | 8 |
| ნიკი ლაუდა | ავსტრია | 1 | 4 | 23 | — | 11 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 22 | 2 | 7 |
| ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 1 | 2 | 18 | 1 | 12 |
| კარლოს პასე | ბრაზილია | 1 | 1 | 12 | — | 5 |
| რენე არნუ | საფრანგეთი | 1 | 1 | 12 | — | 11 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | 1 | 1 | 10 | 1 | 7 |
| გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | — | 5 | 30 | — | 14 |
| . . . | | | | | | |
| რალფ შუმახერი | გერმანია | — | 1 | 11 | — | 6 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | — | 2 | 10 | — | 9 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | — | 1 | 9 | — | 8 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | — | 1 | 8 | — | 6 |
| იარნო ტრული | იტალია | — | — | 5 | — | 6 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | — | 1 | 4 | — | 3 |
| ჯენსონ ბატონი | ბრიტანეთი | — | — | 4 | — | 3 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | — | — | 3 | — | 10 |
| ხუან პაბლო მონტოია | კოლუმბია | — | — | 2 | 1 | 2 |



ნანგა პარბატი

# წინ ლარკი, მანასლუ და ნანგა პარბატია

*თბილისელმა მთამსვლელმა გია თორთლაძემ წლევანდელ სეზონში უკვე ორი ლაშქრობა მოასწრო. აქედან ერთი, ყარაყორუმური წარუმატებელი გამოდგა, მეორე, ტიანშანური კი წარმატებული, მაგრამ მთამსვლური სეზონი ახლა ჰიმალაის მთებში იწყება და ისიც დიდი გეგმებით დღეს იქით მიეშურება.*



გია თორთლაძე

— ისევ პოლონელებთან ერთად მივდივარ, — გვიამბობს გია თორთლაძე — ჰიმალაიზე არის ერთ-ერთი დღემდე დაულაშქრავი, მწვერვალი ლარკია პიკი. მართალია, იქაურ ბუმბერაზებს სიმაღლით ვერ შეედრება, რაკილა ჰიმალაური მასშტაბებით ტანმორჩილია, მაგრამ ტექნიკურად საკმაოდ რთული ჩანს. ვეცდებით, ჩვენ გავხდეთ პირველნი, რომლებიც ამ 6200-მეტრიანი მწვერვალიდან გადმოიხედავენ, მერე რვაათასიან მანასლუზე (8128 მ) გადავინაცვლებთ, ბოლოს კი ფრანგებთან ერთად ნანგა პარბატს (8126 მ) ჟან კრისტოფის მეთაურობით შევუტევ.

**— ამ ზამთარს პოლონელებს ყარაყორუმზე ალმართული დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩოგორიდან რამდენიმე კაცი გამოექცათ და ისევ მათთან ერთად ლაშქრობა რამ გაფიქრებინა?**

— მაშინ ექსპედიციას უთავბოლოდ მეთაურობდა კრისტოფ ველიცკი, ახლა კი პოლონელთა სულ სხვა გუნდს მივყვები, რომელსაც თერთმეტ რვაათასიანზე ამსვლელი პიოტრ პუსტელნიკი ხელმძღვანელობს. ექსპედიციაში შვიდი-რვა მთამსვლელი ვიქნებით.

**— მაგრამ მანასლუზე თქვენ ერთხელ ხომ იყავით?**

— დიახ, მაშინ, 1998 წელს ამ მწვერვალზე ჩვენი, ქართული ექსპედიციის წევრები კლასიკური მარშრუტით ვცდილობდით ასვლას, მაგრამ არ გაგვიმართლა.

**— ახლა სხვა გზით აპირებთ ლაშქრობას?**

— არა, ისევ იმ კლასიკურ მარშრუტს მივადგებით. განსხვავება დროში იქნება. მაშინ თუ შემოდგომაზე ვცდილობდით ასვლას, ახლა გაზაფხულზე მიგვაქვს იერიში. როგორც მრავალწლიანი გამოცდილება გვკარნახობს, ჰიმალაის მთებში გაზაფხულის ასვლები უფრო შედეგიანია.

**— გვეგონა, წლეულსაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალისკენ წახვიდოდით, რადგან იქ განსაკუთრებული, საიუბილეო სეზონია და მრავალ მთამსვლელს სურს ჯომოლუნგმაზე პირველასვლის 50-წლიანი თარიღის აღმნიშვნელ ლაშქრობებში თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.**

— ზუსტად ასეთი საიუბილეო დღეები უდგას ნანგა პარბატსაც. თავის დროზე მასზე ასვლა არანაკლებ რეზონანსული იყო. ეგეც არ იყოს, ჯომოლუნგმაზე უკვე ნამყოფი ვარ, ნანგა პარბატზე კი პირველად მივდივარ. ამასთან, მინდა დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანზე შევდგა ფეხი. მე შვიდი ასეთი ასვლა მაქვს. აქედან ორ მწვერვალზე — განმეორებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# რევერანსი ყინულზე

## ჰოკეი თეატრი ყოფილა, იქ ერთმანეთს ადგილს უთმობენ

3 აპრილი

**დეტროიტი 5:2 აილენდერსი** *3:1 1:1 1:0*

**1:0 ფიოდოროვი (3), 2:0 დრეიპერი (8), 3:0 ფიოდოროვი (10), 3:1 იაშინი (16), 4:1 შნაიდერი (30), 4:2 იაშინი (35), 5:1 რობიტაილი (56)**

გაუგებარი რამ ხდება რეგულარული ჩემპიონატის ფინიშზე. კარგად იცით, მხოლოდ ერთი საპლეიოფო საგზური და დარჩა და მისთვის ორი ნიუიორკული გუნდი იბრძვის — „აილენდერსი" და „რეინჯერსი". თუმც რა ბრძოლაზეა საუბარი, როცა ესენი ერთმანეთს ჯენტლმენებივით უთმობენ გზას. განსაკუთრებით „აილენდერსი" ცდილობს, უკვე 4 მატჩია, არ მოუგია და ამჯერადაც დამარცხდა. ცხადია, დასავლეთში პირველობისთვის მებრძოლ დეტროიტთან თამაშიდან გამარჯვების გამოტანა რთული საქმეა, მით უფრო მის ყინულზე, მაგრამ მაინც საპლეიოფო პრეტენზია გქონდეს და მეტოქეს საშუალება მისცე, პირველ 10 წუთში გადაწყვიტოს ყველაფერი, გაუგებარია. თან პირველ პერიოდში სამივე გოლი დეტროიტმა მეტოქის შეცდომებისა და დაბნეულობის წყალობით გაიტანა.

„ძალიან გაწბილებულები ვართ. ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. თუ ჩვენ „რეინჯერსისგან" დაველოდებით საპასუხო ჟესტს, მაშინ ნამდვილად შორს ვერ გავსრიალდებით" — თქვა მატჩის შემდეგ „აილენდერსის" თავკაცმა პიტერ ლავიოლეტმა.

**ვაშინგტონი 1:5 ოტავა** *0:1 1:3 0:0*

**0:1 შეფერი (2), 0:2 ბალი (14), 0:3 ალფრედსონი (25), 1:3 ლანგი (31), 1:4 შეფერი (35), 1:5 ალფრედსონი (40)**

თავის 10-წლიანი ისტორიაში ოტავამ კონფერენციაში პირველად გაინაღდა პირველი ადგილი. რომელი გაკოტრებული გუნდი მოიწონებს თავს ასეთი შედეგით?

**ტორონტო 2:1 მინესოტა** *1:0 0:1 1:0*

**1:0 რენბერგი (16), 1:1 დიუპუი (25), 2:1 ბერგი (57)**

**ნიუ ჯერსი 1:1 ბოსტონი** *1:0 0:1 0:0 0:0*

**1:0 ნუინდაიკი (4), 1:1 ტორნტონი (24)**

**ედმონტონი 3:3 სან ხოსე** *1:1 1:1 1:1 0:0*

**0:1 მაკოდი (12), 1:1 პიზანი (17), 2:1 პიზანი (28), 2:2 სელიანე (36), 3:2 რ. სმიტი (56), 3:3 სელიანე (60)**



REUTERS

ოტაველებმა ვაშინგტონელი სტივ კონოვალჩუკი აალყაგეს

**სენტ ლუისი 4:6 ჩიკაგო** *0:2 2:3 2:1*

**0:1 დემპსი (3), 0:2 საიმონი (12), 0:3 საიმონი (21), 1:3 დემიტრა (22), 1:4 დემპსი (32), 2:4 რუჩინსკი (39), 2:5 კარპოვცევი (40), 2:6 ბელი (43), 3:6 ტკაჩუკი (48), 4:6 დემიტრა (52)**

სენტ ლუისი პლეი ოფს რაღაც უჩვეულოდ მოშვებული ხვდება. ბოლო 3 მატჩში საკმაოდ სოლიდური დაცვის მქონე გუნდმა 17 გოლი გაუშვა. ბედის ირონიით, სწორედ ამ თამაშებში წლევანდელ სეზონში პირველად გამოჩნდა „ბლექბერნთა" ლიდერი, დაცვის მთავარი დასაყრდენი კრის პრონგერი.

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 81 | 51 | 8 | 1 | 21 | 260:181 | 111 |
| ნიუ ჯერსი | 80 | 45 | 9 | 6 | 20 | 212:163 | 105 |
| ტამპა | 80 | 36 | 16 | 5 | 23 | 216:200 | 93 |
| ფილადელფია | 80 | 43 | 13 | 4 | 20 | 201:163 | 103 |
| ტორონტო | 81 | 44 | 7 | 3 | 27 | 235:205 | 98 |
| ვაშინგტონი | 81 | 38 | 8 | 6 | 29 | 219:217 | 90 |
| ბოსტონი | 81 | 35 | 11 | 4 | 31 | 237:232 | 85 |
| აილენდერსი | 80 | 34 | 11 | 2 | 33 | 220:227 | 81 |
| რეინჯერსი | 80 | 32 | 10 | 4 | 34 | 205:224 | 78 |
| მონრეალი | 81 | 29 | 8 | 9 | 35 | 201:230 | 75 |
| ბუფალო | 80 | 27 | 9 | 8 | 36 | 183:209 | 71 |
| ატლანტა | 80 | 29 | 7 | 5 | 39 | 217:280 | 70 |
| ფლორიდა | 80 | 23 | 13 | 9 | 35 | 170:230 | 68 |
| პიტსბურგი | 81 | 27 | 6 | 5 | 43 | 186:250 | 65 |
| კაროლინა | 80 | 22 | 11 | 6 | 41 | 169:234 | 61 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 81 | 45 | 15 | 4 | 17 | 243:169 | 109 |
| დეტროიტი | 80 | 48 | 9 | 3 | 20 | 261:194 | 108 |
| ვანკუვერი | 81 | 45 | 13 | 1 | 22 | 264:206 | 104 |
| კოლორადო | 80 | 40 | 13 | 8 | 19 | 242:189 | 101 |
| სენტ ლუისი | 80 | 41 | 10 | 6 | 23 | 249:215 | 98 |
| ანაჰაიმი | 81 | 40 | 9 | 5 | 27 | 200:189 | 94 |
| მინესოტა | 81 | 41 | 10 | 1 | 29 | 194:175 | 93 |
| ედმონტონი | 81 | 36 | 11 | 9 | 25 | 230:226 | 92 |
| ჩიკაგო | 80 | 29 | 12 | 6 | 33 | 201:221 | 76 |
| ლოს ანჯელესი | 80 | 32 | 6 | 5 | 37 | 200:219 | 75 |
| ფინიქსი | 80 | 30 | 10 | 5 | 35 | 200:227 | 75 |
| ნეშვილი | 80 | 27 | 13 | 7 | 33 | 183:203 | 74 |
| სან ხოსე | 81 | 28 | 8 | 8 | 37 | 211:236 | 72 |
| კალგარი | 80 | 27 | 13 | 4 | 36 | 180:226 | 71 |
| კოლუმბუსი | 80 | 29 | 7 | 3 | 41 | 205:254 | 68 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები პლეი ოფში გავიდნენ*

# გაფიცვის არ გვეშინია!

## მსოფლიოს თასი, დიახაც, ჩატარდება!

**მსოფლიოს თასი** აუცილებლად ჩატარდება! წუხელ ნჰლ-მა მსოფლიოში ჰოკეის ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის განრიგი გამოაქვეყნა. შეჯიბრება 30 აგვისტოს დაიწყება და 14 სექტემბრის დასრულდება.

8 გუნდი ორ ჯგუფად გაიყოფა. ევროპულში ჩეხეთი, ფინეთი, შვედეთი და გერმანია მოხვდნენ, ხოლო ჩრდილოამერიკულში — კანადა, აშშ, რუსეთი და სლოვაკეთი. მომდევნო ეტაპზე რვავე გუნდი გადის, 6-8 სექტემბერს მეოთხედფინალები შედგება 10-სა და 11-ში ნახევარფინალი, ხოლო 14-ში ფინალი. როგორც ხედავთ, ამჯერად ფინალი ერთმატჩიანი იქნება და არა ორ მოგებამდე, როგორ წინა ტურნირზე იყო.

2004 წლის ზაფხულში ლიგასა და მოთამაშეთა ასოციაციის ხელშეკრულების ვადა იწურება, მათ ახალი შეთანხმებისთვის ჯერაც არ მიუღწევიათ და შესაძლოა საქმე ლოკაუტამდე ანუ საყოველთაო გაფიცვამდე მივიდეს. ამიტომ მსოფლიოს თასის ჩატარება საეჭვო იყო. აცხლა კი გადაწყდა, რომ ეს საშიშროება აღარ არსებობს. ხოლო რა ბედი ეწევა 2004-05 წლების სეზონს, ეს ჯერ გაურკვეველია.

# ნიგერიაშიც იპარავენ, მაგრამ აშენებენ კიდეც

**ნიგერია** დიდი ამბებისთვის ემზადება. ხუმრობა ხომ არაა, 2003 წლის სრულიად აფრიკის თამაშები, ანუ აფრიკული ოლიმპიადა ამ შინაომებისგან გათანგულ და დამშეულ ქვეყანაში გაიმართება, სადაც 100 მილიონზე მეტი ადამიანი ცარიელი კუჭით ცხოვრობს.

რამდენიმე დღის წინ ნიგერიელებმა გამოაცხადეს, რომ დედაქალაქ აბუჯაში დამთავრდა ახალი სტადიონის მშენებლობა და მოედანს იქითა კვირაში მონათლავენ, როცა ნიგერიის და სპილოს ძვლის ნაპირის საფეხბურთო ნაკრებები ზედ წაიბურთავებენ. სტადიონი მშვენიერია და მასზე უარს ევროპის ბევრი დიდი ქალაქი არ იტყოდა. აფრიკის თამაშებზე, 4-18 ოქტომბერს რომ გაიმართება, ეს ულტრათანამედროვე 60-ათასადგილიანი შენობა სპორტის 23 სახეობის შეჯიბრს უმასპინძლებს. ერთის სიტყვით, დაქცეულ ქვეყანას ერთი კარგი ნაგებობაც მიემატა, რითაც თითქოს ყველა კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

სტადიონის აშენება წინასწარი გათვლებით 307 მილიონი დოლარი უნდა დამჯდარიყო, მაგრამ ხარჯებმა 472 მილიონს უწია. ახლა მსოფლიოს ბანკი, რომელმაც მშენებლობა დააფინანსა, პასუხს ითხოვს აშენებლებისაგან, სად წავიდა ის 160 მილიონი დოლარი, რომლითაც იგეგმებოდა 700-აპარტამენტიანი ოლიმპიური სოფლის აგება, კეთილმოწყობა და საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგება. როგორც ჩანს, არამი ფულით ხელის მოთბობის ხელოვნებას მარტო ქართველი დიდმოხელენი როდი ფლობენ. თუმცაღა, იმასაც შევნიშნავთ, რომ ნიგერიელი ერის ბედის განმკარგველებმა მილიონების გაფლანგვასთან ერთად სახალხო საქმეც გააკეთეს, კარგი სტადიონი ააშენეს. ჩვენში კი რა სარგებლობა მოაქვს მსოფლიოს ბანკისგან ნასესხებ „მწვანეებს", მგონი კარგადაა ცნობილი.

# ფეხბურთი ომში

ერაყის ზოგიერთ ადგილას უკვე შედარებით მშვიდობაა. ყოველ შემთხვევაში, ქალაქ უმ ხაიაში ამხანაგური ფეხბურთიც კი გახურდა ადგილობრივ მობურთალთა და ბრიტანეთის 42-ე კომანდოს სალდათთა შორის. თამაში მასპინძლებს მოუგიათ.





# ყველაფერი

ამხელა კაცი რომ გაიშხლართება, მიწისძვრაც კია მოსალოდნელი. დალასელი დირკ ნოვიცკი კიდეც წაიქცა, კიდეც დაჯარიმდა და დალასელთა მწვრთნელი დონ ნელსონიც გადაიყოლა. მწვრთნელმა იჩხუბა, ნოვიცკი არ დაჯარიმებულაო და მოედნიდან მიაბრძანეს. ეს ყველაფერი „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" თამაშის მეოთხე მეოთხედში მოხდარა.



REUTERS სან დიეგოდან

# ბეისბოლის მუღამები

ამერიკაში ბეისბოლის სეზონი ეს დღეებია გახურდა და მოედანზე თამაშის გარდა სხვა თვალსასეიროც საკმაოდაა. მემფისში იქაური „წითელი ჩიტების" თილისმამ იმდენი ქნა, რომ თითქოს მოწინააღმდეგის მოთამაშე ჩაყლაპა. სინამდვილეში კი მემფისელებმა მართლაც მოუგეს ალბუკერკელებს. სან დიეგოში კი იქაურმა „მამებმა" ერაყში მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცთა მხარდაჭერის მუღამში კამუფლაჟის სამოსი მოირგეს და ისე შეებნენ „ლოს ანჯელეს დოჯერსს". სანდიეგოელთა დამწყები პიჩერი, ჯეიკ პივი მართლაც ჰგავს ამერიკელ ჯარისკაცს.



# როჯერ პლეიტზე

„როჯერ პლეიტის" სტადიონზე ხვალ მთავრდება დევისის თასის მეოთხედფინალი არგენტინისა და რუსეთის სანოგბურთო გუნდებს შორის. ეს ფოტო ტრიბუნიდანაა: რუსთა კაპიტანი, შამილ ტარპიშჩევი ჩოგბურთელ მარატ საფინს ეჩურჩულება.



REUTERS ბუენოს აირესიდან

# სენას მოსახვევთან



REUTERS საპაულოდან

კვირას სან პაულუს ინტერლაგუშის ტრასაზე ბრაზილიის დიდი პრიზი გათამაშდება მეფორმულეთა შორის. უილიამსელი ხუან პაბლო მონტოია (მარცხნივ) და მამამისი პაბლო სწორედ ინტერლაგუშზე არიან და იმ ადგილს გასცქერიან, რომელიც „სენას მოსახვევადაა" ცნობილი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge